ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 ნოემბერი 2004 №256 (2277) ფასი 50 თეთრი


# სანგარში ჩამჯდარი მილანი რონალდინიომ ააფეთქა



კაცია და გემოვნება, „კამპ ნოუზე" ნანახი ზოგს მოეწონებოდა, ზოგს არა, მაგრამ იმას, რაც ამ შეხვედრის 88-ე წუთზე მოხდა, შეუძლებელია უკლებლივ ყველა არ აღეფრთოვანებინა: რონალდინიომ ბურთი მილანელთა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, რაღაცნაირი ბრაზილიური მოძრაობით მრავალნაცადი და მრავალნაქები ალესანდრო ნესტა მოატყუა და ისე დაარტყა, რომ ბურთი პირდაპირ, ჩვენში კომუნისტების დროიდან ცხრიანად წოდებულ ადგილას შევარდა.

# ჯორდები და ვარდები

## 150 დროშა ცოცხალი დინამოსთვის




კობა ინასარიძე
ლონდონიდან


„დინამოზე", სამწუხაროდ, თითქმის არაფერი ვიცი. იმედი მაქვს, თამაშამდე ერთხელ მაინც ვნახავ „სოშოსთან" მატჩის ფირს. ქართველებმა პირველი შეხვედრა შინ წააგეს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ საქმე სერიოზულ მეტოქესთან გვაქვს. მათ დასაკარგი არაფერი აქვთ და, ვფიქრობ, დიდ ბრძოლას გაგვიმართავენ" — ინგლისურ გაზეთებში ამოკითხულ „ნიუკასლის" მწვრთნელ გრემ სუნესის ამ სიტყვებთან ერთად ისიც გავიგე, რომ შესაძლოა, მან უელსელი კრეიგ ბელამი საერთოდ არ ათამაშოს ძირითადში.



მწვრთნელსა და ფეხბურთელს კონფლიქტი აქამდეც რომ ჰქონოდათ, გეცოდინებათ. მათ თურმე „ბოლტონთან" წაგებული მატჩის მერეც უჩხუბიათ, ერთმანეთისთვის „ტკბილი" სიტყვები არ დაუშურებიათ და... მოკლედ, ბელამი ალბათ არ ითამაშებს.

ხვალინდელ მატჩს კი აქაურები ჩვენნაირი ინტერესით ნამდვილად არ ელიან, თუმც სმენიათ „დინამოზე", ქართულ ფეხბურთზე და... თითქმის ყოველი მეორე ჩვენს დანახვაზე „როუზ რევოლუშენს" გვაგონებს და მაგრები ხართო, გვეუბნებიან.

გუშინ „დინამომ" ნიუკასლის ერთ-ერთ სტადიონზე ივარჯიშა, გია გეგუჩაძემ ოცდაერთივე ფეხბურთელი დატვირთა.

საათნახევრიანი ვარჯიშის მერე კი გეგუჩაძემ ფეხბურთელები ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანა.

„დინამოს" „სენტ ჯეიმს პარკზე" 150-მდე ქართველი უქომაგებს. ჩვენს აქაურ თანამემამულეებს ქართული დროშებიც გაუმზადებიათ და სახის დროშისფრად შეღებვასაც აპირებენ, ჩვენების თამაშის ცოცხლად ხილვა მოგვენატრა და „დინამოს" მხურვალედ ვუქომაგებთო.

ქომაგობა, რა თქმა უნდა, კარგია, თანაც სტუმრად თამაშისას, მაგრამ მეეჭვება, 52 ათას ინგლისელ ფანში ჩაკარგულმა 150-მა ქართველმა ხმა გააგონოს დინამოელებს. „ნიუკასლის" ფანები ხომ გამორჩეულნი არიან მთელ ბრიტანეთში თავიანთი სიმღერებითა და ყიჟინით.




# ბერძნულ-რომაული მსოფლიო თასი თბილისშია

# ნურავის გავატანთ!

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
## ჯგუფური ეტაპი. IV ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**არსენალი 1:1 პანათინაიკოსი**

1:0 ანრი (16პ), 1:1 სიგანი (75ს.კ.)

*ბასინასმა ვერ გაიტანა პენალტი (62, ააცილა)*

არსენალი: ლემანი, ლორენი, სიგანი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი (ვან პერსი 83), ვიეირა, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, ბერხკამპი (რეიესი 72)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

პანათინაიკოსი: ხალკიასი, ჰენრიკსენი, კოცოლისი, კირიაკოსი, ვინტრა, მარინი (მორისი 89), სკაჩელი, ბასინასი, კონსტანტინიდისი, ე. გონსალესი (კონსტანტინუ 60), პაპადოპულოსი (მიტრუ 62)

მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი

გაფრთხილება: გონსალესი, ანრი, კონსტანტინიდისი, სკაჩელი

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

35 137 მაყურებელი

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 რუსენბორგი**

1:0 ბესლი (10)

პსვ ეინდჰოვენი: ზუტებირი, ლუსიუსი, ბუმა (ჩ. ფეპერი 89), ალექსი, ი. ლი, ვან ბომელი, კოკუ, ფოგელი, ფარფანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სიბონი 76), ბესლი (ვონლანტენი 82)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

რუსენბორგი: ე. იონსენი, რასელი, ჰოფტუნი, ჰანსენი, დორსინი, სტრანდი (ჯორჯი 30), სოლი, ვინსნესი, სტორფლორი (ჰელსტადი 85), ფ. იონსენი, სტენსაასი (ბრაატენი 66)

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

გაფრთხილება: ჰოფტუნი

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

26 250 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

V ტური: 24 ნოემბერი

რუსენბორგი — პანათინაიკოსი

პსვ ეინდჰოვენი — არსენალი

### F ჯგუფი

**ბარსელონა 2:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (17), 1:1 ეტოო (37), 2:1 რონალდინიო (88)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, მარკესი (ლარსონი 81), ხავი, დეკო, ჟიული (ინიესტა 67), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, ამბროზინი, პირლო, კაკა (რუი კოშტა 76), სერჟინიო (ზეედორფი 74), შევჩენკო (ტომასონი 87)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კაკა, ამბროზინი, რონალდინიო, გატუზო

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

98 000 მაყურებელი

**სელტიკი 1:0 შახტარი**

1:0 ტომპსონი (25)

სელტიკი: მარშალი, აგატი, ვარგა, ვალგაერენი, მაკნამარა, ლენონი, პეტროვი, ა. ტომპსონი, ჰართსონი, ა. კამარა (კ. ბიტი 81), მაკგიდი (ჟოლესი 79)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

შახტარი: ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, სრნა, ტიმოშჩუკი, დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (ჰუბშმანი 60), ვორობეი (ბატისტა 74), აგაჰოვა (მარიკა 69)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ბარკაუანი, ბარკაუანი, ვალგაერენი

გაძევება: ტიმოშჩუკი (43), ბარკაუანი (58)

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

58 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 9 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 9 |
| შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| სელტიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |

V ტური: 24 ნოემბერი

მილანი — შახტარი

ბარსელონა — სელტიკი

### G ჯგუფი

**ინტერი 0:0 ვალენსია**

ინტერი: ფონტანა, ზე მარია, კორდობა, მატერაცი, ხ. ძანეტი, ვერონი (კ. ძანეტი 79), კამბიასო, დავიდსი, სტანკოვიჩი (პასკუალე 89), ადრიანო, მარტინსი (რეკობა 78)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, მარჩენა, კარბონი, რუფეტე, ბარახა (სისოკო 74), ალბელდა, ანგულო, დი ვაიო (კორადი 71), მისტა (მორეტი 85)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: ბარახა, კანეირა

გაძევება: ადრიანო (90)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

40 000 მაყურებელი

**ვერდერი 5:1 ანდერლეხტი**

1:0, 2:0 კლასნიჩი (2, 16), 2:1 იაშჩუკი (30), 3:1 კლოზე (33), 4:1 კლასნიჩი (79), 5:1 იენსენი (90)

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ბაუმანი, ისმაელი, შულცი (დავალა უმითი 66), დ. იენსენი, ერნსტი, მანინი, მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 71), კლასნიჩი (ხარისტიასი 83)

მწვრთნელი: თომას შააფი

ანდერლეხტი: პეერსმანი, ჟეჲლაკოვი, ლ. ტრაორე, დე ბუკი, დეშახტი, ერე (ვანდენ ბორე 64), ჰასი (ზეტერბერგი 67), ბასეჯიო, ვილჰელმსონი, იაშჩუკი, დინდანე

მწვრთნელი: უგო ბროოსი

გაფრთხილება: ბასეჯიო, შულცი, ჰასი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

37 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| ვერდერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| ვალენსია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ანდერლეხტი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | 0 |

V ტური: 24 ნოემბერი

ანდერლეხტი — ვალენსია

ვერდერი — ინტერი

### H ჯგუფი

**ცსკა 0:1 ჩელსი**

0:1 რობენი (24)

*ვაგნერმა ვერ გაიტანა პენალტი (47, ააცილა)*

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, სემაკი (ოლიჩი 70), რ. გუსევი, კრასიჩი (ალდონინი 46), ჟირკოვი, იაროშიკი, რახიმიჩი, ვაგნერი (კირიჩენკო 82)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

ჩელსი: პ. ჩეხი, ჯონსონი, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი (პ. ფერეირა 54), პარკერი (ტიაგუ 65), მაკელელე, ლამპარდი, დაფი, რობენი, გუდიონსენი (კეჟმანი 69)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ჯონსონი, კეჟმანი, ოლიჩი, შემბერასი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

30 000 მაყურებელი

**პორტუ 0:0 პსჟ**

პორტუ: ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ბოსინგვა, მანიშე, დიეგო (კარლოს ალბერტო 64), კვარესმა (პოსტიგა 78), დერლეი სილვა, მაკკარტი (უგო ალმეიდა 64)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

პსჟ: ლეტიზი, პიშო, პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, მბამი, ჩანა, ე. სისე (ბოშკოვიჩი 86), პანკრატი, კორიდონი (მენდი 74), პაულეტა (ლიუბოია 89)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

გაფრთხილება: ჟორჟე კოშტა, კვარესმა, არმანი, მბამი, ჩანა, დერლეი სილვა, პედრუ ემანუელი

მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)

30 210 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 12 |
| ცსკა | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| პსჟ | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| პორტუ | 4 | 0 | 2 | 2 | 1:5 | 2 |

V ტური: 24 ნოემბერი

ცსკა — პორტუ

ჩელსი — პსჟ

# გოლი იყო, რონალდინიო!



„ინტერი“ — „ვალენსია“. ადრიანომ უხეიროდ შემწუხებელი კანეირა კაცურად დასაჯა

დავიწყოთ „კამპ ნოუთი“: „ბარსა“ „მილანის“ წინააღმდეგ ყველაზე თვალსასეირო მატჩი უნდა გამოსულიყო — როგორც ევროპელი ჟურნალისტები იტყვიან, ფურცელი (სადაც თამაშის დაწყებამდე მეტოქეთა სახელები ეწერა) აშკარად ამას მოასწავებდა. აი, გაამართლა თუ არა, შეფასება თქვენთის მოგვინდია — ეჭვი არ არის, შეხვედრა ყველა ქომაგმა ნახა — ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კახა კალაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და თან ისე, რომ წესით მწვრთნელისთვის უკმაყოფილების საბაბი არ უნდა მიეცა. ვფიქრობთ, უკმაყოფილების საბაბი არც საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ. მოთამაშე, რომელიც სულ რაღაც ორ კვირაში მათ განკარგულებაში იქნება, ურიგო ფორმაში არ ჩანს და ნარბზე პაოლო მალდინის ხელით დაკრულ ერთ ლეიკოპლასტირს თუ არ ჩავთვლით, არც დაშავებულა.

ერთი სიტყვით, კაცია და გემოვნება, „კამპ ნოუზე“ ნანახი ზოგს მოეწონებოდა, ზოგს არა, მაგრამ იმას, რაც ამ შეხვედრის 88-ე წუთზე მოხდა, შეუძლებელია უკლებლივ ყველა არ აღეფრთოვანებინა: რონალდინიომ ბურთი მილანელთა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, რაღაცნაირი ბრაზილიური მოძრაობით მრავალნაცადი და მრავალნაქები ალესანდრო ნესტა მოატყუა და ისე დაარტყა, რომ ბურთი პირდაპირ, ჩვენში კომუნისტების დროიდან ცხრიანად წოდებულ ადგილას შევარდა.

აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ პირველი ბურთი სტუმრებმა მალდინის ნამიერი დაბრკოლების გამო გაუშვეს ანუ ორივე მცველი, ვინც ამ დღეებში იტალიაში თავის საქმეზე ჩასულმა პელემ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად შემოგვთავაზა, ჩვენი ეჭვით, იტალიელთა კარში გასული გოლების მიზეზად იქცა...

და არ შეიძლება არ ითქვას, რომ ანდრეი შევჩენკო მილანელებს მართლა დიდთა შორის დიდი ჰყავთ: უკრაინელმა გუშინ ღამით არც „კამპ ნოუ“ დატოვა უგოლოდ.

ეს კი ყველაფერი იმ ჯგუფის ამბებია, რომელშიც ხსენებულთა გარდა „სელტიკი“ და დონეცკის „შახტარად“ ქცეული ოდინდელი „შახტიორი“ თამაშობენ. მათი დაპირისპირება სქოთთა გამარჯვებით დასრულდა — 1:0, რაც იმას ნიშნავს, რომ „სელტიკი“ მეორე ეტაპზე მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

და რაკილა სიტყვამ მეორე ეტაპი მოიტანა, ვთქვათ, რომ ამ ეტაპს ლონდონის „ჩელსიმ“ უკვე მიაღწია. საამისოდ რუსეთის ერთ-ერთი გუბერნატორის, რომან აბრამოვიჩის უცხოურ გუნდს მოსკოვში, რუსული არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ძლევა დასჭირდა. მატჩის ერთ-ერთი ყველაზე თვალსასეირო მომენტი კი რუსარმიელი ვაგნერ ლოვეს აცილებული პენალტი გახლდათ. ასე ძალიან ზევით დარტყმული ბურთი ხშირი სანახაობა ნამდვილად არ არის.

ამავე ჯგუფში ლიგის ბოლო და ჯერ კიდევ მოქმედმა გამარჯვებულმა „პორტუმ“ „პარი სენ ჟერმენთან“ მხოლოდ 0:0 ითამაშა.

„არსენალისა“ და „პანათინაიკოსის“ ლონდონურ დაპირისპირებაში კი ძალიან საინტერესო ამბავი ის მოხდა, რომ მასპინძლებმა ანგარიში პენალტით გახსნეს, ხოლო სტუმრებმა თავისი წილი თერთმეტმეტრიანი ვერ შეაგდეს - რომ გაეტანათ, მოიგებდნენ და ან არსენ ვენგერის გუნდის უძლეველობის მითს დაანგრევდნენ, ან ბერძნული ფეხბურთის განსაკუთრებულობის მორიგ მითს შექმნიდნენ.

„ინტერი“ კი რისი „ინტერია“, რაიმე ისეთი არ მოიმოქმედოს, ერთგულ ქომაგს გულს რომ გაუხეთქავს. ამჯერად იმდენად „ვალენსიასთან“ ნათამაშევ ფრეზე არ გავამახვილებთ ყურადღებას — წინა თამაში მილანელებმა ესპანეთში მოიგეს 5:1 და ბუნებრივია, ერთსა და იმავე მეტოქესთან ზედიზედ მეორედ მოგება გაუჭირდებოდათ — რამდენადაც ადრიანოს მუშტიკრივზე, მაისურს ჩამოკიდებულ მეტოქეს, მარკო კანეირას რომ დაათია. ბრაზილიელი, ცხადია, გააგდეს.

**პაატა ბედია**

### ინგლისი

ჩემპიონატი

XVII ტური

კარდიფი 4:1 ვესტ ჰემი

ძრიუ 2:2 ლესტერი

ჯილინგემი 0:0 უოტფორდი

იფსვიჩი 5:1 შეფილდ იუნ.

პლიმუთი 2:2 რედინგი

ქუინზ პარკი 1:1 მილუოლი

სტოკი 0:1 უიგანი

სანდერლენდი 3:1 ვულვერჰემპტონი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

დორტმუნდი (მ) 1:1 დიუსელდორფი

### ირლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

დერი სიტი 1:0 უოტერფორდი

### სლოვაკეთი

თასის II ეტაპი

ინტერი 0:2 ბანსკა ბისტრიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სქოთები სარდალს ცვლიან

## ფოგთსის საამს სმიტს უმზადებენ

*ბერტი ფოგთსი შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა და ამით დასრულა რამდენიმეკვირიანი ჭორაობა. ფოგთსის ორწელიწადნახევრიანი მუშაობა სქოთთა მენეჯერად წარმატებული არ გამოდგა და მის კრიტიკას განსაკუთრებით ბოლოხანს მოუხშირეს*

მწვრთნელმა თქვა, რომ გადადგომის მიზეზი სწორედაც რომ „უმადური დაწოლაა“.

ფოგთსმა გრძნობებით სავსე განცხადება გამოაქვეყნა, სადაც რწმენა გამოთქვა, რომ სქოთთა უმრავლესობას მისი ესმის, ამ უმრავლესობაში კი იქაური ფეხბურთის ასოციაცია არ შედის.

ბოლო დროს ბერტის ძალიან მწვავედ აკრიტიკებდნენ, რადგან ცხადი შეიქნა, რომ ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდება, რახან 3 თამაშიდან მხოლოდ ორი ქულა აქვს.

თუმცა, ფოგთსს მხარს უჭერდნენ ფეხბურთის სქოთი მოღვაწენი, გრემ სუნესი, ალან ჰანსენი და კრეიგ ბრაუნი. გერმანელი ტაბლოიდურმა პრესამაც დატანჯა: „მათ ცუდად ესმით ფეხბურთი, მაგრამ დიდი გავლენა აქვთ გულშემატკივრებზე“ — დაწერა ფოგთსმა.

სამაგიეროდ, მწვრთნელმა ფეხბურთელები შეაქო, უტეხი და ერთმანეთის მხარში მდგომი ბიჭები არიან, უკან დახევა არ სჩვევიათ და ვამაყობ, რომ ეს დრო მათთან ერთად გავატარეო.

ასოციაცია კი შემცვლელს ეძებს. მთავარი კანდიდატი ორია: გორდონ სტრაჩანი და უოლტერ სმიტი. სავარუდო სწორედ ამ უკანასკნელის დანიშნვაა. „გლაზგო რეინჯერსისა“ და „ევერტონის“ ყოფილი ბოსი, ბოლოხანს თავისი მეგობრის, ალექს ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობდა „მანჩესტერში“. 1986 წელს ის ფერგისავე თანაშემწე იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე.

კანდიდატთა შორის ფოგთსის თანაშემწე, ტომი ბარნსი და განთქმული გარი მაკალისტერიც არიან.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ჰოდლს ვესტ ბრომვიჩი და მილიონი ერგო

## გლენ ჰოდლი „ვესტ ბრომვიჩის“ ახალი მენეჯერი გახდება ამ კვირაში



**ამით მის** 13-თვიან უმუშევრობასაც მოეღება ბოლო და ტანჯულ „ვესტ ბრომსაც“ იმედი მიეცემა.

სწორედ ბედის ხუმრობაა, რომ ჰოდლის პირველი მატჩი „ვესტ ბრომვიჩის“ მენეჯერად „საუთჰემპტონის“, მის ძველი კლუბის წინააღმდეგ იქნება.

ჰოდლი წელიწადში ერთ მილიონ გირვანქას მიიღებს: ამის შესახებ განაცხადა „ვესტ ბრომვიჩის“ თავმჯდომარემ, ჯერემი პისმა.

გლენის ბოლო სამუშაო „ტოტენჰემის“ მენეჯერობა იყო, 13 თვის წინათ დათხოვნილს რამდენიმე კარგი სამუშაო გაუსხლტა ხელიდან. თავის დროზე, საჩქაროდ „ტოტენჰემში“ გაქცეული, „საუთჰემპტონის“ ფანებმა უკან აღარ მიიღეს. მერე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობაზე გაიარა ინტერვიუ და „ნიუკასლის“ მენეჯერობის კანდიდატადაც ითვლებოდა სერ ბობი რობსონის გადაყენების შემდეგ.

სხვათა შორის, სერ ბობიმ გასულ კვირაში იუარა „ვესტ ბრომვიჩის“ გაწვრთნა, რადგან სანამ უმუშევარია, 700 ათას გირვანქიანი კომპენსაცია ერგება „ნიუკასლისგან“.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ბრიტანელი ჯანფრანკო

## დედოფალმა ძოლას ორდენი გაუგზავნა

*ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედმა იტალიაში გაუგ ზავნა ჯილდო ჯანფრანკო ძოლას. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, თან უცხოელს და თან ფეხბურთელს, ბრიტანეთის იმპერიის საპატიო ორდენი რომ მიანიჭონ. ძოლას კი მიანიჭეს — „ჩელსის“ ისტორიაში ყველა ზე პოპულარულ და საყვარელ უცხოელს, მაგარ მოთამაშეს და ძალიან კარგ კაცს. კარგი ისიცაა, რომ ვესტმინსტერის სასახლეში არასოდეს ეშლებათ ამგვარი რამეები.*

*ჯანფრანკოს ორდენი ბრიტანეთის ელჩმა, სერ აივორ რობერტსმა გადასცა.*




# ერიქსონის სახლი გაალამაზეს

სვენ გორან ერიკსონმა სახლისთვის ახალი შუშები შეუკვეთა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელის ლონდონურ ბინას ბოროტმოქმედები დაეცნენ. თავდასხმა ყველაწმინდას დღესასწაულზე დღის განმავლობაში ორჯერ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ შვედი მწვრთნელის ოთხმილიონგირვანქიანი საცხოვრებელი ლონდონის ცენტრში მდებარეობს. დამნაშავეებმა სახლის ორი ფანჯარა ჩაამტვრიეს, მერე ლობეზე ერიკსონის სახელი მიაჯღაბნეს და აორთქლდნენ. „ჩვენ კვირა საღამოს დაგვირეკეს, შემდეგ კი ორშაბათს დილით“ — განაცხადეს პოლიციელებმა, რომლებმაც ბოროტმოქმედთა კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ სვენ გორან ერიკსონის ბინა ცოტა ხნის წინ გაძარცვეს, ამჯერად კი მხოლოდ გაერთნენ და სახლიდან არაფერი წაუღიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ოლიმპიაკოსი — მონაკო

სავარაუდო შემადგენლობები

ნიკოპოლიდისი, შურერი, მავროგენიდისი, პანტოსი, ვენეტიდისი, კაფესი, რივალდო, სტოლტიდისი, გეორგატოსი, ოკასი, ჯოვანი

რომა, მაიკონი, სკილაჩი, როდრიგესი, გივე, ბერნარდი, ზიკოსი, ევრა, ჩევანტონი, სავიოლა, ადებაიორი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### დეპორტივო — ლივერპული

სავარაუდო შემადგენლობები

მოლინა, მანუელ პაბლო (ექტორი), მ. სესარი, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ვიქტორი, დუშერი, სერხიო, ფრანი, ლუკე, ტრისტანი

კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ფინანი, ჰამანი, ხაბი ალონსო, კიუელი, ლუის გარსია, ბაროში

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

## B ჯგუფი

### რომა — ლევერკუზენი

სავარაუდო შემადგენლობები

ძოტი, სარტორი, ფერარი, დელასი, კუფრე, მანსინი, პეროტა, აკილანი, დაგოსტინო, ტოტი, მონტელა

ბუტი, შნაიდერი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, ფრაიერი, რამელო, პონტე, კრჟინოვეკი, ბერბატოვი, ფრანცა (ვორონინი)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბაპტისტა (პორტუგალია)

### დინამო — რეალი

სავარაუდო შემადგენლობები

შოვკოვსკი, ფიოდოროვი, როდოლფო, საბლიჩი (გავრანჩიჩი), ელ კადური, ლეკო, რინკონი, გიოანე, იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი

კასილიასი, სალგადო, ელგერა, რაულ ბრავო (პავონი), რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო, ოუენი

მსაჯი:კიროს ვასარასი (საბერძნეთი)



ჯიბრილ სისე

# ფრთხილად, რივალდო!

## სისე ჩაჭვა, ბაროში ადგა

დუშან ბაევიჩის „ოლიმპიაკოსი“ დღეს ფრანგული „მონაკოს“ დამარცხებას ეცდება, გუნდისა, რომელმაც ორი კვირის წინ ბერძნებს 2:1 მოუგო.

დიდიე დეშანის მთავარი საწუხარი დაცვის სისუსტეა, ფრანგთა მწვრთნელმა პრესკონფერენციაზე სწორედ ამაზე ილაპარაკა: „როდესაც შემტევები საგოლე შანსებს ვერ იყენებენ, დაცვას მოწინააღმდეგის კონტრშეტევების მოგერიება საკმაოდ უჭირს“.

დეშანი ჩევანტონის, სავიოლას და ადებაიორის გარდა შაბანი ნონდასაც მოიშველიებს — აფრიკელმა ტრავმა მოირჩინა და, სავარაუდოდ, სამთვიანი შესვენების მერე მოედანს სწორედ „ოლიმპიაკოსთან“ დაუბრუნდება, თუმც ძირითად შემადგენლობაში კონგოელის თამაში მაინც სათუოა.

„ოლიმპიაკოსი“ სტუმრებს კარგ ხასიათზე დაუხვდება — შინაურ პირველობაზე „პაოკს“ 5:1 მოუგო. ბედკრულ „პაოკს“ 2 ლამაზი გოლი რივალდომ გაუტანა და ადგილობრივ ფანთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა. თანამემამულე ჯოვანისთან და კვიპროსელ ოკასთან ერთად რივალდო ფრანგთა დაცვას დიდ პრობლემებს შეუქმნის. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დღემდე ერთი ფრანგული გუნდიც ვერ დაიკვეხნის საბერძნეთში გამარჯვებით.

ლაკორუნიულ „რიასორზე“ კი „დეპორტივო“ რაფაელ ბენიტესის „ლივერპულს“ მიიღებს. ამ მატჩს ხავიერ ირურეტას გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს — თუ მოიგებს, ესპანელებს კიდევ რჩებათ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპიდან გასვლის შანსი, წაგების შემთხვევაში კი...

პრიმერადივიზიონის ბოლო მატჩში გალისიელებმა „ალბასეტესთან“ 0:0 ითამაშეს და პრესის კრიტიკაც დაიტეხეს თავს: „დეპორტივო“ ახლა უფრო იღბალზე დამოკიდებული გუნდია, ლუკე და ვიქტორი ცუდ ფორმაში არიან, ცენტრი ჭაობს გვაგონებს — ტრავმირებული მაურო სილვას არყოფნაში მისი საქმე თითქოს სერხიომ და დუშერმა გადაიბარეს, მაგრამ მათაც ვერ გაამართლეს“ — ნათქვამია გუშინდელ მადრიდულ „ასში“.

„ლივერპულის“ მძიმე დანაკლისი ფრანგი ჯიბრილ სისეა. 23 წლის ფრანგი „ბლექბერნთან“ მატჩში დაშავდა და, სავარაუდოდ, 2004-2005-ის სეზონში ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, ტრავმა მოირჩინა ჩეხმა მილან ბაროშმა და მისი სახიფათო იერიშები ირურეტას მცველებს გვარიანად დააფრთხობს. რაფა ბენიტესს თავის შეგირდთა შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება, თუმც „დეპორტივოს“ მოულოდნელ სურპრიზებსაც არ ივიწყებს. „ვიცი, რომ ჩემები თამაშის მოსაგებად მთელი ძალებით იბრძოლებენ, მაგრამ „დეპორის“ საკუთარ „რიასორზე“ დამარცხება ძნელი საქმეა. მე ამ გუნდს ვიცნობ და მისი მოულოდნელი აფეთქებებიც კარგად მახსოვს“ — განაცხადა ლივერპულელების დამრიგებელმა ესპანელმა „მარკასთან“ ინტერვიუში.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |

# რა თქვენი საქმეა?!

## დელ ნერიმ კასანო სახლში დატოვა

დღეს დახურულ კარს მიღმა „რომა“ „ლევერკუზენს“ უმასპინძლებს. რატომ ჩაირაზება „ოლიმპიკოს“ ჭიშკრები, ამაზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებთ — ისედაც ყველამ ვიცით — და უფრო ახალ ამბებზე მოგითხრობთ.

მთავარი სიახლე ის არის, რომ ლუიჯი დელ ნერიმ ანტონიო კასანო განაცხადშიც არ შეიყვანა. მიზეზიც ვთქვათ: „კალიარისთან“ მატჩისას დელ ნერიმ კასანო შეცვალა, რისთვისაც ფეხბურთელმა მწვრთნელს აგინა, მსგავსი რამეები კი, როგორც წესი, დაუსჯელი არ რჩება.

თუმც ისიცაა, რომ დელ ნერი ამაზე ლაპარაკს ერიდება. გადაწყვეტილება მან ასე ახსნა: „ლევერკუზენთან“ ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ. ესენი ფრანჩესკო ტოტი და ვინჩენცო მონტელა იქნებიან. დღეს ასეა და მომდევნო მატჩებში როგორ იქნება, დრო გვიჩვენებს. კასანოზე ლაპარაკს კი ახლა არ ვაპირებ. მე ის ამ მატჩში არ მჭირდება და სახლში დავტოვეთ“.

მაგრამ დელ ნერის მაინც მოუხდა კასანოს კიდევ ხსენება, რაკი ჟურნალისტები არ მოეშვნენ და ფორვარდის მოკვეთის რეალურ მიზეზზე ჩაეკითხნენ. ამან მწვრთნელი მეტისმეტად აღაშფოთა: „ვიმეორებ, ამ მატჩში „რომას“ ფორვარდები ტოტი და მონტელა იქნებიან. რა გინდათ, განგიმარტოთ, რატომ? ტოტიმ რვა გოლი გაიტანა, მონტელამ — ექვსი. არ არის საფუძველი, ორივე შემადგენლობაში რომ მყავდეს? საერთოდ, ვის ვათამაშებ და ვის არა, ჩემი გადასაწყვეტია. მე მწვრთნელი ვარ და არა დირექტორი“.

დირექტორი კი დელ ნერიმ აი, რატომ ახსენა — საზოგადოდ, იტალიაში, როცა ფეხბურთელი უწესოდ იქცევა, მას სასჯელს სპორტული დირექტორი აკისრებს და არა მწვრთნელი.

კასანოზე ლაპარაკს კი ამით მოვრჩეთ და დავძინოთ, რომ „რომას“ დისკვალიფიცირებული ჰყავს დანიელე დე როსი და კრისტიან პანუჩი. გარდა ამისა, ტრავმირებულები არიან ოლივიე დაკური, კრისტიან კივუ, დამიანო ტომაზი და ივან პელიცოლი. „ლევერკუზენის“ ტრავმირებულთა სია კი ასე გამოიყურება: ჟერმენ ჯონსი და დანიელ ბიროფკა.

ახლა კიევში გადავინაცვლოთ, სადაც მატჩისწინა პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მწვრთნელმა იოჟეფ საბომ თქვა: „ვეცდებით, მადრიდში დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ“. „დინამოს“ კაპიტანმა ვალენტინ ბელკევიჩმა კი დასძინა, ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებულიო.

მეორე გუნდიდან კი გუტიმ თქვა, „დინამო“ ჩვენი უშუალო კონკურენტია და ამდენად ამ მატჩს შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს. ყოველ შემთხვევაში, კიევიდან ერთი ქულის წაღებაც არ იქნება ურიგო შედეგიო.

„დინამოს“ დისკვალიფიცირებული ან დაშავებული არავინ ჰყავს, „რეალს“ კი ისევ ის ხალხი დააკლდება, უკვე დიდი ხანი რომ მკურნალობენ: დევიდ ბექემი, ჯონათან ვუდგეიტი და ვალტერ სამუელი.

**ძოტე ძეძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |



ანტონიო კასანო და ლუიჯი დელ ნერი ერთმანეთთან უბრად არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## C ჯგუფი

### ბაიერნი — იუვენტუსი

სავარაუდო შემადგენლობები

კანი, სანიოლი, ლუსიო, რობერტ კოვაჩი, კუფური, სალიჰამიჯიჩი, ფრინგსი, ბალაკი, ჰარგრივსი, მაკაი, პიზარო

ბუფონი, ბირინდელი, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

### მაკაბი — აიაქსი

სავარაუდო შემადგენლობები

შტრაუბერი, მოოსა, ჯოვანინი, სტროოლი, აბო-სიამი, ლ. კოენი, მიშაელოფი, ტ. კოენი, მესიკა, დაგო, ი. ადო

შტეკელენბურგი, ტრაბელსი, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი, სნეიდერი, როსალესი, ვან დერ ვაარტი, მიტია

მსაჯი: ვლადიმირ ჰრენაკი (სლოვაკეთი)

## D ჯგუფი

### ლიონი — ფენერბაჰჩე

სავარაუდო შემადგენლობები

კუპე, რეველიერი, კრისი, ლ. დიატა, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, მალუდა, გოვუ, ფრო

რუშთუ, დენიზი, ფაბიო ლუსიანო, სერვეთი, უმით ოზატი, სერქანი, ალექსი, მარკო აურელიო, თუნჯაი, ნობრე, ვან ჰოიდონკი

მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)

### მანჩესტერი — სპარტა

სავარაუდო შემადგენლობები

კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, ფ. ნევილი, ოში, მილერი, რუნი, ვან ნისტელროოი

ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში, პობორსკი, შივოკი, ზელენკა, ვორიშეკი, ურბანეკი, იუნი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)



მიუნხენელები და ტურინელები არც დღეს დაინდობენ ერთმანეთს

# ას ქულამდე ცხრა ქულა და ქებათა-ქება

„ჩვენს ჯგუფში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. წარმოიდგინეთ, „აიაქსმა“ რომ „მაკაბიც“ დაამარცხოს და „ბაიერნთანაც“ ქულა მოიპოვოს, მაშინ ჰოლანდიელები ისევ ახლოს იქნებიან შემდეგ ეტაპზე გასვლასთან. ერთი სიტყვით, თითოეულ ქულას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მართალია, „ბაიერნთან“ ამ თამაშს სამკვდრო-სასიცოცხლოს ვერ დავარქმევ, ის მაინც ძალიან საყურადღებოა“ — განაცხადა „იუვენტუსის“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ, რომლის გუნდსაც ყველა ისე აქებს და უძლეველს უწოდებს, რომ ტურინელებს მართლა უჯობთ ცოტა ფრთხილად იყვნენ, მით უმეტს მიუნხენში თამაშის დროს.

„იუვენტუსის“ ქებამ მართლა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. სერია A-ში, ცხრა თამაშიდან რვა გამარჯვებამ სტატისტიკურად ერთ მატჩში 2,77 ქულის მოგება გამოიყვანა და ამ მაჩვენებლით ტურინელებმა „არსენალსაც“ გაუსწრეს, „ბარსელონასაც“ და „ჩელსისაც“. თურმე ევროპაში „ბებერ ქალბატონზე“ უკეთესად მხოლოდ სოფიის ცსკა მიდის. ბულგარულ გუნდს ერთ მატჩში საშუალოდ 2,82 ქულა აქვს, მაგრამ აბა, სად სერია A და სად ბულგარელთა პირველობა. ისიც კი თქვეს, „იუვენტუსმა“ ასე თუ განაგრძო, სეზონს ას ქულაზე მეტით დაასრულებსო.

თუმცა დავანებოთ თავი ას ქულას და მივხედოთ ცხრას, რომელიც „ბებერ ქალბატონს“ ჩემპიონთა ლიგის C ჯგუფში აქვს დაგროვილი.

„ეს 9 ქულა საკუთარი თავის რწმენას გვიძლიერებს, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ რასაც ვაკეთებთ, გოლები არ უნდა გავუშვათ და მეტოქის კართან სახიფათო მომენტები შევქმნათ. ეს შევძელით თვით ისეთ გოლიათთან პირველ შეხვედრაში, როგორიც „ბაიერნია“. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილების უფლება არ გვაქვს“ — ეს სიტყვები კი „იუვენტუსის“ მარცხენა მცველს, ჯანლუკა ძამბროტას ეკუთვნის, რომელიც ტრავმირებული იყო, მაგრამ გამოჯანმრთელდა და დღევანდელ მატჩში ითამაშებს.

სამაგიეროდ, ტურინელთაგან დღევანდელ შეხვედრაში ვერ ითამაშებს ჯონათან ძებინა, რომელსაც ბარძაყი სტკივა. რაც შეეხება ფრანგ თავდამსხმელს, დავიდ ტრეზეგეს, ის რომ მხრის ოპერაციის გამო ვერ ითამაშებდა, ისედაც ცნობილი გახლდათ.

მიუნხენელებს დაშავებულთა და საეჭვოთა სია გაცილებით ძნელი აქვთ: როკე სანტა კრუზი, ალექსანდრ ციკლერი, იენს იერემისი და ზე რობერტო ნაღდად ვერ ითამაშებენ, ხოლო საეჭვონი გახლავან ანდრეას გიორლიცი, ტორნსტენ ფრინგსი და ჰასან სალიჰამიჯიჩი. რაც შეეხება სებასტიან დაისლერს, მისი მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი ამწუთას უცნობია.

შეგახსენებთ, რომ მიუხედავად დიდი ევროგამოცდილებისა, „ბაიერნი“ და „იუვენტუსი“ ამ სეზონში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ასე რომ, დღეს მათი მეორე დაპირისპირებაა. მესამე ტურში, ტურინში, პაველ ნედვედის გოლით „იუვენტუსმა“ გაიმარჯვა.

C ჯგუფის მეორე თამაშში კი „მაკაბი“ „აიაქსს“ მასპინძლობს და არც დისკვალიფიცირებული ჰყავს ვინმე, არც დაშავებული და არც საეჭვო. ამსტერდამელებს კი არ ეყოლებათ ტომაშ გალაშეკი და ბოგდან ლობონტი. შეგახსენებთ, რომ თელ ავივის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არც ქულა მოუპოვებია და არც გოლი გაუტანია. ასე რომ, „აიაქსს“ სიფრთხილე მართებს, მით უფრო, რომ გუნდს სტუმრად ბოლო ოთხი მატჩი წაგებული აქვს, ხოლო ბოლო რვა თამაშიდან ერთიც არ მოუგია.

**პაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| აიაქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მაკაბი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

# რუუდ ვან ნისტელროი გარანტირებულია

## ფერგიუსონმა ჰოლანდიელი წარსულში ინატრა

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „პორტსმუთთან“ ნაჭამი სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს. ალექს ფერგიუსონის გუნდმა გასულ უქმეებზე პორტსმუთელებთან 0:2 წააგო, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ იმ შეხვედრაში მანჩესტერელებს დისკვალიფიცირებული რუუდ ვან ნისტელროი არ ჰყავდათ. დღეს კი ჰოლანდიელი ფორვარდი „სპარტასთან“ ძირითად შემადგენლობაში იქნება. „გარანტიას გაძლევთ, რომ ის აუცილებლად ითამაშებს — თქვა ალექს ფერგიუსონმა — ვან ნისტელროი გვჭირდება, რადგან „პორტსმუთთან“ ბევრი საგოლე მომენტი გავაცუდეთ. რუუდი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, გაიტანდა“.

ალან სმიტის ნაცვლად, სავარაუდოდ, ლაიამ მილერი ითამაშებს, ხოლო ვან ნისტელროის, ცხადია, ყმაწვილკაცი უეინ რუნი შეუწყვილდება. „პორტსმუთთან“ შეხვედრა ჯონ ოშიმაც გამოტოვა და ირლანდიელიც ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება. გამორიცხული არაა, როი კინის თამაშიც.

პრაღის „სპარტას“ მწვრთნელმა ადრევე განაცხადა, რომ მისი გუნდი ჯგუფში მესამე ადგილისთვის და უეფას თასზე მოსახვედრად იბრძოლებს. პრაღელებმა სამიდან ორი შეხვედრა წააგეს და ბოლო ადგილზე ნებივრობენ. ჩეხებს ტრავმირებული ჰყავთ მიროსლავ ბარანეკი და პეტრ იოჰანა.

აღსანიშნავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბოლო 20 საევროთასო საშინაო მატჩი არ წაუგია, ხოლო „სპარტამ“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გამართული ბოლო შვიდი თამაშიდან მხოლოდ ერთხელ გაახერხა ფრე.

პოლ ლე გუენის „ლიონი“ „ფენერბაჰჩეს“ თუ მოუგებს, ათ ქულას დააგროვებს და მერვედფინალის საგზურს გაინაღდებს. ფრანგთა მწვრთნელს პრობლემები მისძალებია, რადგან გასულ უქმეებზე „სტრასბურთან“ შეხვედრისას კაპიტანი კლაუდიო კასაპა და მეგოლე სილვენ ვილტორდი დაუშავდა. „ჩვენ ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი მაშინ გამოგვაკლდა, როცა გადამწყვეტი მატჩების დრო დადგა. მათი სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს გუნდში. ფაქტობრივად, აწყობილ-დალაგებული გუნდის ხელახლა შექმნა დამჭირდება“ — თქვა პოლ ლე გუენმა.

კრისტოფ დაუმის „ფენერბაჰჩემ“ ორი კვირის წინ შინ „ლიონთან“ წააგო, გასულ შაბათს კი სტამბოლურ დერბიში „ბეშიქთაშთან“ დამარცხდა. ამ მარცხის შემდეგ კრისტოფ დაუმი ბრაზილიელ ლეგიონერ ალექსზე გაბრაზდა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის სიტყვიერი ომიც გაჩაღდა. გერმანელმა თავკაცმა ბრაზილიელი უგულო თამაშში დაადანაშაულა, ალექსმა კი თურქულ გაზეთ „საბაჰს“ განუცხადა, რომ იგი განტევების ვაცად გამოიყვანეს. ლეგიონერზე გულაყრილმა დაუმმა მის ნაცვლად დღეს შესაძლოა სელჩ უკ საჰინი ათამაშოს. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან „ბეშიქთაშთან“ დასვენებული თუნჯაი და სერქანიც.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |



რუუდ ვან ნისტელროი



# კაცი ლაციოდან

## რომაელი სენატორი პაოლო დი კანიო

*პაოლო დი კანიო ხვალ ინგლისში „მიდლსბროს“ წინააღმდეგ ითამაშებს: ის ხომ „ლაციოს“ თავდამსხმელია. ეს ორი გუნდი კი უეფას თასმა დააპირისპირა ერთმანეთს. ერთი სიტყვით, იტალიელი ფორვარდი ისევ იმ ქვეყანაშია, საიდანაც გაზაფხულზე წავიდა — „ჩარლტონ ატლეტიკიდან“ თავის საყვარელ „ლაციოში“ — და სადაც დიდ პატივს სცემენ*

36 წლის მოთამაშემ სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს, ჯეიმს ივს განუცხადა:

„კენჭისყრის შედეგებს რომ ჩავხედე, ავღელდი. „ლაციოსთან“ ერთად ინგლისში ჩასვლა ჩემი ოცნება იყო და ამიხდა“.

დი კანიო რომაელია, თუმცა 1990 წელს „ლაციოდან“ „იუვენტუსში“ წაიყვანეს. მას მერე 14 წლის განმავლობაში მან მოიარა „ნაპოლი“, „მილანი“, „სელტიკი“, „შეფილდ უენსდეი“, „ვესტ ჰემი“ და „ჩარლტონი“, მაგრამ „ლაციოში“ დაბრუნება ბუნდოვან პერსპექტივად რჩებოდა. თავად განსაჯეთ, ოთხი წლის წინ „ლაციო“ სერია A-ს ჩემპიონი იყო, მასში თამაშობდნენ ხუან სებასტიან ვერონი, პაველ ნედვედი და ერნან კრესპო, ასე რომ, გაუწონასწორებელი ყოფაქცევის და ჩამოთვლილებზე ნაკლებად ნიჭიერი იტალიელისთვის იქ ადგილი ვერაფრით იქნებოდა.

მაგრამ გამოხდა ხანი, „ლაციოს“ საქმე ცუდად წავიდა და სწორედ ამ სამწუხარო ამბავმა გაუკვალა დი კანიოს გზა საყვარელი ბიანკოჩელესტისკენ, რაც თეთრ-ცისფერს ნიშნავს. შეგახსენებთ, რომ „ლაციოს“ საქმე ცუდად მისი პატრონი კორპორაციის, „ჩირიოს“ გაკოტრების გამო წავიდა.

„ჩემი გუნდში დაბრუნება „ლაციოს“ ქომაგებს სურდათ, ქომაგებს კი იტალიაში საფეხბურთო ცხოვრებაზე დიდი გავლენა აქვთ, — ამბობს დი კანიო — სამწუხაროდ, ამდენი ხნის განმავლობაში ჩემს დასაბრუნებლად მოხერხებული მომენტი არ იქმნებოდა. განსხვავებული ვითარება წლეულს შეიქმნა, რაც ალბათ კლუბის გაურესებული ეკონომიკური მდგომარეობით იყო განპირობებული. „ლაციოს“ დასჭირდა ადამიანი, რომელიც ქომაგების ყურადღების ცენტრში მოექცეოდა და იმავდროულად შედეგებსაც გააუმჯობესებდა. თავიდან ინიციატივას არ ვიჩენდი, მაგრამ როდესაც პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ დამირეკა, მივხვდი, რომ შანსი მომეცა, რომელიც ხელიდან არ უნდა გამეშვა“.

და პაოლო დი კანიო მშობლიურ ქალაქში მართლა გმირივით მიიღეს. მისი პირველი ვარჯიშის სანახავად „ლაციოს“ საწვრთნელ ცენტრში შვიდი ათასი გულშემატკივარი მივიდა, რადგან მათთვის ეს ფეხბურთელი სხვათაგან განსხვავებული იყო. დი კანიო ერთი მათგანი გახლდათ, უბნით კვარტიკიოლოელი, რომელიც „ლაციოს“ ბავშვთა სკოლაში იზრდებოდა, „ოლიმპიკოზე“ ირიდუჩიბილისთან ანუ ყველაზე გადარეულ ფანებთან ერთად დადიოდა, 1989 წელს სერია A-ს პირველი გოლი არც მეტი, არც ნაკლები, „რომას“ კარში შეაგდო და ეს რომ ქნა თავქუდმოგლეჯილი სამხრეთის ტრიბუნისკენ გაიქცა იქაური გულშემატკივრისთვის შუა თითი რომ ეჩვენებინა.

... 2000 წელს, როგორც მოგახსენეთ, სვენ გორან ერიკსონის ხელმძღვანელობით „ლაციო“ იტალიის ჩემპიონი გახდა, მაგრამ დღევანდელ გუნდს მაშინდელთან ვერაფრით შევადარებთ. დღეს „ლაციოში“ ცნობილი ვარსკვლავი, ფაქტობრივად, არც თამაშობს, სამაგიეროდ, მრავლად დარბიან „წვრილფეხა“ სამხრეთამერიკელები, რომლებიც იტალიის დედაქალაქში ზაფხულზე, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე მოხვდნენ.

და ვინ ხელმძღვანელობს ამ წვრილფეხობას? დომენიკო კაზო, „ლაციოს“ ფეხბურთელი 1980-იანი წლების შუამდე, მეტწილად მეორე ლიგაში ნათამაშევი, შემდეგ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად დანიშნული და მხოლოდ ახლა, არეულობის და გაუგებრობის გამო სერია A-ს გუნდის თავკაცად გადაყვანილი.

დი კანიო ამბობს: „მას ფეხბურთელებთან ურთიერთობა შეუძლია, არც ძალიან მეგობრულია და არც ცივი. კიდევ, ვფიქრობ, იღბლიანია, რადგან ძალიან კარგი ფეხბურთელების ჯგუფი დახვდა. ამ ჯგუფში არიან თვითონ რომაელებიც და კიდევ გამოცდილი მოთამაშეები, რომლებიც ჩემსავით მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ“.

ახლა კი, რაც შეეხება შედეგებს: უეფას თასზე, ჯგუფის პირველ შეხვედრაში „ლაციომ“ შარშანდელ ნახევარფინალისტთან, „ვილიარეალთან“ 1:1 ითამაშა, ხოლო სერია A-ში კარგად დაიწყო, მაგრამ მერე აერია საქმეები და ბოლო ექვსი თამაშიდან სამი წააგო.

დი კანიო მეტწილად სათადარიგოთა სკამზე ზის და ფიქრობს, რომ კაზოს „ხარისხს რაოდენობა“ ურჩევნია, მაგრამ ამის გამო სკანდალებს არ სტეხს, პირიქით, რომაელი სენატორის როლი იკისრა და ვითარებას ბრძენკაცის პოზიციიდან უყურებს.

რაც შეეხება ინგლისიდან წასვლას, ამასაც არ განიცდის. „ჩარლტონში“ კვირაში 20 ათას გირვანქას უხდიდნენ, რომში კი 75 პროცენტით ნაკლები ხელფასი აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, მშობლებსა და ძმებთან არის ახლოს, ისინი კი ძველებურად კვარტიკიოლოში ცხოვრობენ.

„აქ, იტალიაში, თუ ცხრილის სათავეში არ ხარ, ხალხი სტადიონზე არ მოვა, ინგლისში კი ტრიბუნები, როგორც წესი, სავსეა, ფანებს ფერები და სიჭრელე უყვართ და ფეხბურთიც უფრო ამაღელვებელია, თამაშში მეტი თავისუფლებაა, ფეხბურთელებს მოგება უნდათ და გოლების გატანას ცდილობენ“ — ამბობს დი კანიო, შემდეგ კი დასძენს:

„იმისთვის, რომ ჩემპიონი გახდე, შევჩენკოს, კაკას და ნესტას დონის ფეხბურთელები უნდა გყავდეს, ასეთების ყიდვა კი „ლაციოს“ არ შეუძლია. მოკლედ, ჩემპიონები ვერ გავხდებით, მაგრამ არც დავნებდებით და ყველა ღონეს ვიხმართ, გულშემატკივრები კარგი შედეგებით რომ გავახაროთ“.

**ბაჰუნა ძიდია**

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XI ტური**

**მანჩესტერ სიტი 1:1 ნორვიჩი**

1:0 ფლუდი (11), 1:1 ფრენსისი (46)

**მანჩესტერ სიტი:** ჯეიმსი, მილსი, დისტინი, რ. დანი (ონუა 68), ჯორდანი, ფლუდი, სიბიერსკი, ბოსველტი, მაკმანამანი (ფაულერი 81), რაიტ-ფილიპსი, ანელკა

**მწვრთნელი:** კევინ კიგანი

**ნორვიჩი:** რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, ჩარლტონი, ბრენანი, ჰოლტი, ენდი ჯონსონი (ჰენდერსონი 81), ფრენსისი, ჰაკერბი, მაკკენზი (მაკვეიგი 87), სვენსონი

**მწვრთნელი:** ნაიჯელ უორზინგტონი

**გაფრთხილება:** სიბიერსკი

**მსაჯი:** ბენეტი

42 803 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 11 | 8 | 2 | 1 | 31:12 | 26 |
| ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 16:3 | 26 |
| ევერტონი | 11 | 7 | 2 | 2 | 14:10 | 23 |
| ბოლტონი | 11 | 6 | 3 | 2 | 18:13 | 21 |
| მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 19:14 | 18 |
| ლივერპული | 10 | 5 | 2 | 3 | 18:10 | 17 |
| მანჩესტერი | 11 | 4 | 5 | 2 | 11:9 | 17 |
| ნიუკასლი | 11 | 4 | 4 | 3 | 22:19 | 16 |
| პორტსმუთი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:12 | 15 |
| ასტონ ვილა | 11 | 3 | 6 | 2 | 14:13 | 15 |
| ტოტენჰემი | 11 | 3 | 4 | 4 | 6:8 | 13 |
| სიტი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:12 | 12 |
| ჩარლტონი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:19 | 12 |
| კრ. პალასი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:15 | 11 |
| ფულემი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:19 | 11 |
| ბირმინგემი | 11 | 1 | 6 | 4 | 7:10 | 9 |
| ვესტ ბრომვიჩი | 11 | 1 | 5 | 5 | 9:20 | 8 |
| საუთჰემპტონი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:14 | 7 |
| ნორვიჩი | 11 | 0 | 7 | 4 | 10:18 | 7 |
| ბლექბერნი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:24 | 7 |

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XIV ტური**

**კლერმონი 2:1 გენგამი**

0:1 დაგანო (44), 1:1 სამსონი (46), 2:1 პოლიეტი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 |
| ბრესტი | 14 | 6 | 6 | 2 | 18:13 | 24 |
| გენიონი | 13 | 5 | 7 | 1 | 10:5 | 22 |
| ამიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 18:16 | 22 |
| გრენობლი | 14 | 5 | 7 | 2 | 18:17 | 22 |
| სედანი | 14 | 6 | 4 | 4 | 12:12 | 22 |
| მონპელიე | 14 | 5 | 4 | 5 | 14:11 | 19 |
| ლე მანი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:14 | 19 |
| ლავალი | 14 | 5 | 4 | 5 | 15:16 | 19 |
| კლერმონი | 14 | 4 | 6 | 4 | 19:16 | 18 |
| ტრუა | 13 | 5 | 3 | 5 | 18:17 | 18 |
| დიჟონი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:14 | 17 |
| შატორუ | 14 | 3 | 8 | 3 | 13:13 | 17 |
| ლორიანი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:21 | 17 |
| რეიმსი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:20 | 17 |
| ანჟე | 14 | 4 | 4 | 6 | 14:16 | 16 |
| კრეტეი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:18 | 15 |
| ლე ავრი | 14 | 4 | 3 | 7 | 11:14 | 15 |
| ნიორი | 14 | 5 | 0 | 9 | 16:20 | 15 |
| გენგამი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:20 | 15 |

## იტალია

**სერია B. XI ტური**

**ტერნანა 0:2 პერუჯა**

0:1 ა. პინტო (56), 0:2 სედივეცი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:7 | 26 |
| ჯენოა | 11 | 6 | 4 | 1 | 25:11 | 22 |
| ტორინო | 11 | 6 | 2 | 3 | 14:9 | 20 |
| ასკოლი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:14 | 20 |
| პერუჯა | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| პიაჩენცა | 11 | 6 | 1 | 4 | 18:17 | 19 |
| ვერონა | 11 | 5 | 2 | 4 | 20:14 | 17 |
| ალბინოლეფე | 10 | 5 | 2 | 3 | 14:10 | 17 |
| ჩეზენა | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 16 |
| ვიჩენცა | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 16 |
| არეცო | 11 | 3 | 6 | 2 | 21:16 | 15 |
| კატანია | 11 | 4 | 3 | 4 | 13:16 | 15 |
| ტრიესტინა | 10 | 4 | 1 | 5 | 13:16 | 13 |
| კატანძარო | 11 | 3 | 3 | 5 | 14:14 | 12 |
| ტერნანა | 11 | 3 | 3 | 5 | 11:16 | 12 |
| ვენეცია | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| მოდენა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:13 | 10 |
| პესკარა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:17 | 10 |
| ბარი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:12 | 9 |
| კროტონე | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| ტრევიზო | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| სალერნიტანა | 11 | 1 | 4 | 6 | 7:23 | 7 |

*„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „ბარის“ 1 ქულა*

## ჰოლანდია

**II დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**კამბური 0:1 ვენლო**

0:1 [illegible] (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერაკლესი | 10 | 8 | 1 | 1 | 22:8 | 25 |
| ვენლო | 10 | 7 | 3 | 0 | 22:7 | 24 |
| დორდრეხტი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:13 | 21 |
| ვოლენდამი | 10 | 6 | 1 | 3 | 18:11 | 19 |
| ზვოლე | 11 | 5 | 4 | 2 | 17:11 | 19 |
| ჰაარლემი | 10 | 6 | 0 | 4 | 22:12 | 18 |
| სპარტა | 10 | 5 | 3 | 2 | 22:16 | 18 |
| აპელდორნი | 10 | 5 | 0 | 5 | 20:17 | 15 |
| ექსელსიორი | 11 | 4 | 1 | 6 | 19:18 | 13 |
| ვეენდამი | 10 | 3 | 3 | 4 | 17:16 | 12 |
| ჰელმონდი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | 12 |
| სიტარდი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | 12 |
| ოსი | 11 | 4 | 0 | 7 | 17:26 | 12 |
| ტელსტარი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:14 | 11 |
| მაასტრიხტი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 11 |
| ემენი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:22 | 9 |
| კამბური | 11 | 2 | 3 | 6 | 7:18 | 9 |
| იგლსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:19 | 8 |
| ეინდჰოვენი | 11 | 1 | 4 | 6 | 11:27 | 7 |

## ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. XI ტური**

**ტეპლიცე 1:0 სლავია**

1:0 მაშეკი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 9 | 2 | 0 | 26:8 | 29 |
| ტეპლიცე | 11 | 6 | 5 | 0 | 13:6 | 23 |
| სიგმა | 11 | 7 | 1 | 3 | 16:12 | 22 |
| ლიბერეცი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:5 | 20 |
| იაბლონეცი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:11 | 16 |
| სლოვაცკო | 11 | 4 | 4 | 3 | 8:6 | 16 |
| ბანიკი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:15 | 16 |
| სლავია | 11 | 4 | 3 | 4 | 10:9 | 15 |
| ბრნო | 11 | 4 | 2 | 5 | 10:14 | 14 |
| დრნოვიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 12:13 | 12 |
| ზლინი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:14 | 11 |
| პრჟიბრამი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:19 | 11 |
| ოპავა | 11 | 2 | 4 | 5 | 13:17 | 10 |
| ბლშანი | 11 | 2 | 3 | 6 | 6:13 | 9 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 1 | 4 | 6 | 7:13 | 7 |
| ბოლესლავი | 11 | 1 | 4 | 6 | 8:16 | 7 |

## პორტუგალია

**სუპერლიგა. VIII ტური**

**მარიტიმუ 2:0 ბრაგა**

1:0 ი. ლიმა (31), 2:0 ბიბიშკოვი (88)

**სეტუბალი 1:0 გიმარაეში**

1:0 შავეში (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეტუბალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:8 | 17 |
| ბენფიკა | 8 | 5 | 2 | 1 | 11:6 | 17 |
| პორტუ | 8 | 4 | 4 | 0 | 13:6 | 16 |
| მარიტიმუ | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 |
| ბოავიშტა | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| რიუ ავე | 8 | 2 | 6 | 0 | 9:6 | 12 |
| ბრაგა | 8 | 3 | 3 | 2 | 10:10 | 12 |
| ბელენენსეში | 8 | 3 | 1 | 4 | 13:13 | 10 |
| ნასიონალი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:13 | 10 |
| ეშტორილი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| ლეირია | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| ბეირა მარი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:15 | 8 |
| გიმარაეში | 8 | 2 | 1 | 5 | 5:8 | 7 |
| აკადემიკა | 8 | 2 | 1 | 5 | 8:12 | 7 |
| მორეირენსე | 8 | 1 | 4 | 3 | 6:10 | 7 |
| პენაფიელი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:19 | 7 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 1 | 1 | 6 | 8:12 | 4 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XI ტური**

**მიუნხენი 2:0 დინამო**

1:0 აგოსტინო (63), 2:0 ბულუტი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 11 | 7 | 2 | 2 | 13:6 | 23 |
| კიოლნი | 11 | 7 | 2 | 2 | 19:14 | 23 |
| დუისბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 17:12 | 22 |
| ალემანია | 11 | 6 | 3 | 2 | 25:10 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:15 | 17 |
| უნტერჰახინგი | 11 | 5 | 1 | 5 | 18:16 | 16 |
| მიუნხენი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:14 | 16 |
| ტრირი | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | 16 |
| ალენი | 11 | 3 | 6 | 2 | 13:11 | 15 |
| აუე | 11 | 4 | 2 | 5 | 17:14 | 14 |
| ზაარბრიუკენი | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| კოტბუსი | 11 | 3 | 4 | 4 | 9:12 | 13 |
| კარლსრუე | 11 | 2 | 5 | 4 | 14:17 | 11 |
| აინტრახტი | 11 | 3 | 2 | 6 | 19:23 | 11 |
| ერფურტი | 11 | 2 | 5 | 4 | 5:13 | 11 |
| ესენი | 11 | 2 | 4 | 5 | 17:23 | 10 |
| დინამო | 11 | 3 | 1 | 7 | 13:21 | 10 |
| ობერჰაუზენი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |

# კოლოსალური ამბავი კოლოსკოვზე
## პრეზიდენტს ზევიდან დააჭირეს

*რუსეთის სპორტის, ტურიზმისა და ფიზკულტურის ფედერალური სააგენტოს თავკაცმა ვიაჩესლავ ფეტისოვმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი რუსეთ — ესტონეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის შემდეგ თანამდებობას დატოვებს*



თუ ვიაჩესლავ კოლოსკოვი დაიფრინეს, მას გეორგი იარცევიც მიჰყვება

**თავად** ნაოპერაციები პრეზიდენტი ამჟამად მოსკოვში არ იმყოფება, იგი ევროპაშია გამოკვლევაზე. მას „სპორტ-ექსპრესის" კორესპონდენტი დაუკავშირდა. კოლოსკოვმა კი ასე უპასუხა: „ორშაბათ საღამოს ფეტისოვს ვესაუბრე. ჩვენ ნაკრების საესტონეთო სამზადისზე ვილაპარაკეთ და ჩემს მომავალზეც ვთქვით. მე ვუთხარი, რომ მოსკოვში დაბრუნებისთანავე ამ საკითხს განვიხილავთ. სავარძელს არასოდეს ჩავბღაუჭებივარ. კონკრეტულად რაიმე გადაწყვეტილება ფეტისოვთან სატელეფონო საუბარში არ მიმიღია, მაგრამ შევიტყვე, რომ რუსეთში ჩემზე ისე ლაპარაკობენ, როგორც თანამდებობიდან გათავისუფლებულზე. ასეთი რა ვითარებაა, რომ რამდენიმე დღეს ვერ მოითმინეს? მით უმეტეს, პრეზიდენტის მოხსნა კავშირის აღმასკომის პრეროგატივაა".

რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალური დირექტორი ალექსანდრ ტუკმანოვი: „კოლოსკოვი საავადმყოფოშია, სარეაბილიტაციო კურსს გადის. გაუგებარია, ვინ ავრცელებს ასეთ ჭორებს. ფეტისოვის განცხადებამ გამაოგნა".

პრეზიდენტის დაბრუნებამდე მის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტა სიმონიანი ასრულებს, რომელმაც თქვა: „მოვლენების ასეთი განვითარება ჩემთვის მოულოდნელია. კოლოსკოვს ჩვენთან არაფერი წამოსცდენია გადადგომის თაობაზე. იგი კანონიერადაა არჩეული და არავის ძალუძს მისი მოხსნა".

ვიაჩესლავ ფეტისოვი: „ნაკრების ბოლოდროინდელი წარუმატებლობის გამო კავშირში საკადრო ცვლილებები აუცილებლად მოხდება. ამ საკითხზე საუბრისას კოლოსკოვი თავად დამეთანხმა, რუსეთ — ესტონეთის მატჩის შემდეგ პრეზიდენტი რიგგარეშე სხდომას მოიწვევს და გადადგომის შესახებ განცხადებას გააკეთებს. კოლოსკოვის ადგილი ფეხბურთში კარგად გარკვეულმა კაცმა უნდა დაიკავოს, რომელიც ავტორიტეტით ისარგებლებს".

მავანმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, ვიაჩესლავ კოლოსკოვის ნდობის ლიმიტი „ზევით" უკვე ამოიწურა და ამიტომაც მოხსნიანო.

გამორიცხული არაა, კოლოსკოვს ნაკრების მწვრთნელი გეორგი იარცევიც მიჰყვეს. ეს შეიძლება ესტონეთთან მატჩამდეც მოხდეს და თუ მწვრთნელიც პრეზიდენტის გზას გაუდგება, მაშინ ნაკრებს ესტონეთთან სათამაშოდ ალექსანდრ ბოროდიუკი და რინატ დასაევი გაიყვანენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩვენი ექტორი ჩვენთან
## მალიორკა კუპერს სამ წელზე გაურიგდა



**ბენიტო ფლოროსგან** მიტოვებული ესპანური „მალიორკა" კუნძულელთა ძველმა ნაცნობმა, არგენტინელმა ექტორ რაულ კუპერმა ჩაიბარა. კლუბის პრეზიდენტმა, მატეო ალემანიმ ოკეანისგაღმელი მწვრთნელი ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დაიყოლია. კუპერი „მალიორკას" სამი სეზონის განმავლობაში უხელმძღვანელებს და გასამრჯელოდ ცხრა მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ სენიორ ექტორი ალემანის ბიჭებს 1997-99 წლებში წვრთნიდა. მათთან ერთად ესპანეთის სუპერთასი (1998) მოუგია, 1999 წელს კი „მალიორკა" ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა.

„ძალიან მიხარია, „მალიორკაში" რომ დავბრუნდი. ყველანაირად ვეცდები, გუნდის წლევანდელი ჩავარდნა გამოვასწორო" — განაცხადა არგენტინელმა ესპანურ „მარკასთან" ინტერვიუში. ესპანელთა გარდა კუპერის გადაბირება იტალიურ „ფიორენტინასაც" სურდა, თუმცა „ვალენსიას" და „ინტერის" ყოფილმა თავკაცმა პრიმერადივიზიონში საქმიანობა აირჩია.

**ლადო ხომერიკი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „მანჩესტერის" ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი კლუბის ხელმძღვანელობას სხვა გუნდში განათხოვრებას სთხოვს. შოტლანდიელმა ნახევარმცველმა წლეულს მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა „წითელი ეშმაკების" რიგებში და სავარაუდოდ ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში თუნდაც სანახევროდ დამკვიდრება ძალიან გაუჭირდება. ცოტა ხნის წინ ფლეტჩერის თხოვება „უიგანს" სურდა, მაგრამ ამაზე უარი თავად ალექს ფერგიუსონმა თქვა. როგორც ამბობენ, მისით „ლიდსია" დაინტერესებული.

**გერმანული** „ბაიერნის" ბრაზილიელ მცველ ლუსიოს ბუნდესლიგაში ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს. გასულ უქმეებზე გლადბახელ ვლაცლავ სვერკოშთან უხეშობის გამო ლუსიო მინდვრიდან გააძევეს. მიუნხენელთა აზრით, იგი წითელ ბარათს არ იმსახურებდა და ფეხბურთელის დისკვალიფიკაცია უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ „ბაიერნის" საჩივარი არ დააკმაყოფილეს.

**ინგლისური** „ლივერპულის" ფორვარდ ჯიბრილ სისეს წარმატებულად გაუკეთეს ოპერაცია. შეგახსენებთ, რომ ფრანგმა „ბლეკბერნთან" მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო — ფეხის ორმაგი მოტეხილობა. ექიმებმა მას სპეციალური მეტალის მილი ჩაუდგეს, რომელიც ნორმალურ შეხორცებას შეუწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციამ ძალიან კარგად ჩაიარა, სისეს მაინც რვა თვე დასჭირდება გამოსაჯანმრთელებლად.

**იტალიურმა** „რომამ" უეფასთან დაპირისპირებას თავი აარიდა და დანიელე დე როსის დისკვალიფიკაციაზე სარჩელი უკან გამოითხოვა. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის გასულ ტურში „ლევერკუზენთან" შეხვედრაში ძალიან უხეში თამაშისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. რომაელებმა ეს გადაწყვეტილება თავიდან გაასაჩივრეს, თუმცა ახლა მოულოდნელად გადაიფიქრეს და აპელაციაზე უარი თქვეს.

**ინგლისური** „ლივერპულის" თავკაც რაფაელ ბენიტესს დაშავებული ჯიბრილ სისეს ნაცვლოდ ახალი ფორვარდის შეძენა სურს, მაგრამ კლუბმა უკვე საკმაო თანხა დახარჯა ტრანსფერებზე და ჯიბე შეუთხელდა. „თუ ვიპოვით ნორმალურ ფორვარდს, რომელიც ძვირიც არ იქნება, სიამოვნებით შევიძენთ. თუმცა ჩვენ გვყავს ნილ მელორი, მილან ბაროში და ფლორენ სინამა-პონგოლე. ამასთანავე მეორე თავდამსხმელად თამაში ჰარი კიუელსა და ლუის გარსიასაც შეუძლიათ" — აღნიშნა ბენიტესმა.

**პორტუგალიელი** მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ „ჩელსისთვის" ადრიან მუტუს შემცვლელს კვლავაც ეძებს. აქამდე „არისტოკრატებმა" უკვე სცადეს ჟერმენ დეფოს, ფერნანდო ტორესისა და რობინიოს გადაბირება, მაგრამ ჯერჯერობით ხელი მოეცარათ. ახლა კი პორტუგალიელმა სპეციალისტმა „ნიუკასლის" უელსელ თავდამსხმელ კრეიგ ბელამის დაადგა თვალი. ამ უკანასკნელს „კაჭკაჭთა" ახალ მთავარ მწვრთნელ გრემ სუნესთან არცთუ კარგი დამოკიდებულება აქვს, რაც „არისტოკრატების" წისქვილზე ასხამს წყალს.

**ინგლისური** „საუთჰემპტონი" ბირმინგემის „ასტონ ვილას" დასჯას მოითხოვს. „წმინდანები" ირწმუნებიან, რომ „ვილამ" მათ ზურგს უკან და არალეგალურად დაიწყო ჯეიმს ბიტისთან მოლაპარაკება. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილამ" სამი თვით დაკარგა თავისი კაპიტანი და ძირითადი ფორვარდი დარიუს ვასელი. ამ უკანასკნელის შემცვლელად დევიდ ოლირიმ სწორედ ბიტის დაადგა თვალი, მაგრამ ბირმინგემელებმა ფეხბურთელთან მოლაპარაკება მალულად წამოიწყეს.

**ჩრდილოირლანდიური** და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი სავარაუდოდ მალე დაიწყებს მუშაობას „პორტსმუთის" სკაუტად. ბესტი ეცდება, ინგლისურ კლუბს ახალგაზრდა ტალანტები მოუძებნოს. აღსანიშნავია, რომ „პორტსმუთის" მფლობელი მილან მანდარიჩი ბესტის მეგობარია. „მილანს ველაპარაკე და ვფიქრობ, მალე დავიწყებთ თანამშრომლობას. მიხარია, რომ ისევ შემიძლია ამ სფეროში მუშაობა" — თქვა ლეგენდარულმა ბესტმა.

**ესპანეთის** ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" მეკარე იკერ კასილიასმა გუშინ საჯაროდ განაცხადა, „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას არ ვაპირებ, პირიქით, „სამეფო კლუბთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას ვეშურებიო. „მართალია, ჩვენს ყოფილ მწვრთნელ კარლუშ კეიროშს ამასწინათ ტელეფონით ველაპარაკე, თუმც „მანჩესტერში" ჩემს შესაძლო გადასვლაზე არც გვისაუბრია. უბრალოდ, კეიროშთან კარგი ურთიერთობა მაქვს. „რეალში" აგერ უკვე 15 წელია ვიმყოფები და მშობლიური კლუბის დატოვება არც მსურს. ასე რომ, „მანჩესტერში" ჩემი გადასვლა გამორიცხულია" — ამბობს კასილიასი.

**გერმანელ** 15 წლის ვუნდერკინდ მიხაელ ვიტცელს კატალონიურმა „ბარსელონამ" დაადგა თვალი. ეს ყმაწვილი ნახევარმცველი ახლა რეგიონალლიგელ „ოსნაბრიუკში" თამაშობს. „ბარსა" „ოსნაბრიუკს" ვიტცელის სანაცვლოდ ახლავე სთავაზობს 120 000 ევროს, თუმც ფეხბურთელთან კონტრაქტს ორი წლის მერე გააფორმებს, რადგან გერმანელი არასრულწლოვანია. „სიხარულისგან თავბრუ დამეხვა და ახლა მხოლოდ „ბარსელონაზე" ვფიქრობ, ხანდახან ფიქრებშიაც მივდივარ და წარმოვიდგენ, თუ როგორ მიკრავს ტაშს გადაჭედილი „კამპ ნოუ" — ვერ მალავს აღფრთოვანებას ვიტცელი და ალბათ, არც გაემტყუნება.

## ესპანეთი
### სამეფო თასი. 1/16 ფინალის წილისყრა

ლანსაროტე — მალიორკა; პონტევედრა — ხეტაფე; ტენერიფე — რეალი; მირანდესი — სოსიედადი; ლეონესა — ბილბაო; ვალიადოლიდი — რასინგი; გრამანეტი — ლევანტე; ხირონა — ოსასუნა; ლორკა — მალაგა; კონკენსე ან უელვა — ალბასეტე; კადისი — ბეტისი; სიუდად მურსია — სევილია; კორდობა ან ალმერია — ნუმანსია; ელჩე — დეპორტივო; ხიმნასტიკი — ატლეტიკო; ტერასა — ლეიდა

*მატჩები გაიმართება 10 ნოემბერს*

## უეფას თასი 2004–2005
### ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური



# ალან შირერი: ჩვენს ხასიათს დინამო გამოცდის

**თბილისის** „დინამოს" ხვალინდელი მეტოქის, „ნიუკასლ იუნაიტედის" ვებ-გვერდზე ალან შირერის მცირე ინტერვიუ გამოქვეყნდა. ნიუკასლელთა ყველაზე დიდმა კაცმა ჩვენს „დინამოზეც" თქვა ნიშანდობლივი რამ. შირერი მეტწილად ინგლისური პრემიერლიგის ბოლო ტურში „ბოლტონთან" მარცხზე საუბრობს. ამ წაგებით „ნიუკასლმა" ათმატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა, მწვრთნელ გრემ სუნესის ხელში პირველად წააგო.

„ეს მარცხი გაწბილება იყო, მაგრამ უნდა დავივიწყოთ. ახლა ისლა დაგვრჩენია, სულმოუთქმელად ველოდოთ ახალი წაუგებელი მიჯრის დაწყებას უეფას თასის მატჩით თბილისის „დინამოსთან". ეს ჩვენი ხასიათის ნამდვილი გამოცდა იქნება. მოდით, ვნახოთ, თუ რას ვუპასუხებთ „ბოლტონთან" მარცხს" — თქვა შირერმა.

**დავით თავართქილაძე**

# მსაჯები ინგლისში წყალზე გადავლენ

4 ნოემბერს რაც ხდება, შეხსნება ვის სჭირდება: უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში თბილისის „დინამო" „ნიუკასლს" ეთამაშება.

„დინამო" უკვე ინგლისშია და საამმატჩოდ ემზადება, ჩვენ კი გეტყვით, რომ უეფამ მსაჯების ვინაობა დაასახელა. მაშ ასე, „ნიუკასლ" — „დინამოს" ნორვეგიელები განსჯიან — არბიტრ ესპენ ბერნტსენს იან პეტერ რამდენი, ერიკ რესტადი და კილ ოლსეტი დაეხმარებიან.

აქვე ვთქვათ, რომ მატჩი ჩვენი დროით 22.30 საათზე დაიწყება, პირდაპირ რეპორტაჟს კი ტელეკომპანია „იმედი" გეგმავს.

# პირობა და იზოლაცია
## დილას მხოლოდ ფული არ აკმარეს

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ნაირგვარი ვერდიქტები გამოიტანა. მთავარი საკითხი 30 ოქტომბრის „დილა"—„თბილისის" მატჩი იყო, თუმც ჯერ სხვაზე მოგახსენებთ...*

**ტორპედოელი** გია მეგრელაძის „სანქცია" ორი თამაშის გამოტოვება და 300 ლარი იყო — მან მეთერთმეტე ტურში „ზესტაფონთან" მსაჯს შეაგინა. დაახლოებით იგივე ჩაიდინა პირველლიგელი „საგარეჯოს" ფეხბურთელმა გიორგი კვალანაძემ — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 150 ლარი.

ფოთელ გიორგი თოდუას ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდა, რის გამო მხოლოდ ერთ თამაშს როდი გამოტოვებს — კიდევ 50 ლარს გადაიხდის. „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია კი წინა ტურში მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა და ფედერაციის ხაზინას 200 ლარით შეეწევა.

სასჯელი ერგო სიონელ გრიგოლ დოლიძესაც — ორი ყვითელის გამო ერთ თამაშსაც ვერ ითამაშებს და 50 ლარსაც გადაიხდის.

პირველლიგელი „ოლიმპის" ფეხბურთელმა ირაკლი სამხარაძემ მსაჯსაც შეუკურთხა და ინსპექტორსაც — ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 150 ლარი.

პირველი ლიგის მატჩში „მალაროელი"—„ივერია" ჭიათურელმა ლევან მოდებაძემ და ხაშურელმა პაატა მეტრეველმა ისე იჩხუბეს, რომ ორივე ფეხბურთელი ხუთი თამაშით „დაისვენებს" და თითოეული 250 ლარს ჩამოყაჭავს.

ამავე მატჩში უდისციპლინობისთვის კლუბიც დაისაჯა — „მალაროელი" 2000 ლარით გალარიბდება.

გორის „დილას" მწვრთნელმა სოსო ვაშაკიძემ მეთორმეტე ტურის მატჩში „ვიტ ჯორჯიასთან" მსაჯის გადაწყვეტილება გააპროტესტა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გარდა (რომელის უკვე მოიხადა) 100 ლარსაც გადაიხდის.

და სხდომის მთავარი საკითხიც. „დილა"—„თბილისზე" თანამსაჯ არსენ ნონიკაშვილს ქვა ესროლეს და სხვა ექსცესებიც მოხდა. „დილას" ათასლარიანი ჯარიმა დააკისრეს და გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე „დილა" ერთ საშინაო მატჩს ვერ ითამაშებს — დღეს „დილა" სათასო მატჩს „თბილისთან" თბილისში ითამაშებს „ისნის" სტადიონზე.

გარდა ამისა, „დილას" საშინაო მატჩების გამართვის მხრივ სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციაც მისცეს. კიდევ, „დილას" ხელმძღვანელობა მკაცრად გააფრთხილეს — მოედნიდან გასახდელში შესასვლელი კორიდორი იზოლირებული უნდა იყოს გულშემატკივრებისგან. „დილას" მესვეურებს გულშემატკივრებთან სწორი მიმართულებით მუშაობაც დაავალეს. დაისაჯა „თბილისიც", რომლის ფეხბურთელები გოჩა ხოჯავა და დავით ოდიკაძე ერთ თამაშს გამოტოვებენ და 100-100 ლარს გადაიხდიან — მათ გორელ გულშემატკივრებთან მოუვიდათ შეხლაშემოხლა.

**დავით თავართქილაძე**

*2004 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტის წევრების შეხვედრა 2004-2005 წლების ლიცენზირების პროცესში მონაწილე საფეხბურთო კლუბების პასუხისმგებელ პირებთან. 14 საფეხბურთო კლუბიდან სხდომას არ დასწრებიან ს.კ. გორის „დილას", ბათუმის „დინამოს" და თბილისის „მერანი-მილანის" წარმომადგენლები. აღნიშნულ კლუბებს სხდომაზე არგამოცხადების ოფიციალური მიზეზი ლიცენზირების კომიტეტისთვის დღემდე არ უცნობებიათ.*

*სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტი კლუბების წარმომადგენლებისთვის ატარებს საბუღალტრო და კომპიუტერული სწავლების კურსებს. საბუღალტრო კურსების გავლაზე სურვილი განაცხადა 11-მა, ხოლო კომპიუტერულ კურსებზე 10-მა კლუბმა. სამწუხაროდ, საბუღალტრო კურსებს არ ესწრებიან ს.კ. „თბილისის", გორის „დილას", ბოლნისის „სიონის", ბათუმის „დინამოს", ხოლო კომპიუტერულ კურსებს — გორის „დილას", ბათუმის „დინამოს" და „ზესტაფონის" წარმომადგენლები.*

*ზემოთ დასახელებულ კლუბებს სფფ-მ გაუგზავნა ოფიციალური წერილი, რომელშიც ატყობინებს, რომ ამგვარი დამოკიდებულება ავტომატურად გამოიწვევს მათი დოკუმენტაციის არგანხილვას და შესაბამისად ლიცენზიის გაუცემლობას.*

***სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტი***



# აქედანა და თელავამდე

**ეროვნულ სტადიონზე** სამუშაოები უკვე დაიწყო — 25 ნოემბრისთვის 19 ათას ინდივიდუალარ სკამს 10 ათასი უნდა დაემატოს — ახალი სკამები მეორე იარუსის ოთხ სექტორზე დამონტაჟდება. 25 ნოემბერს თბილისის „დინამო" უეფას თასის მატჩში ლისაბონის „სპორტინგს" მასპინძლობს, მაგრამ იმ დროისთვის ათი ათასი სკამის დამონტაჟება რომც მოესწროს, „დინამო" პორტუგალიელებს ალბათ მაინც „ლოკომოტივზე" უმასპინძლებს — კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ამას წინათ თქვა, მხოლოდ სკამების დამონტაჟებით ეროვნულ სტადიონს საევროპოდ არ ეშველებაო.

ამასობაში თელავის სტადიონზე ელექტროტაბლო აღუდგენიათ, მანამდე კი იქაურ „კახეთს" ახალი მწვრთნელიც დაუნიშნეს — ოთარ კორღალიძე.



მია ახალაძის ფოტო


## დავით ყიფიანის თასი
მერვედფინალი. საპასუხო მატჩი

გორი. 2 ნოემბერი. 13.30 საათი. ქართლი

**ცხინვალი 0:2 *კოლხეთი* (0:4)**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); კ. ბერაძე (თბილისი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე



## ფეხბურთი
ფკ ამერის სკოლა
**საქართველოს თასი**
**3 ნოემბერი**
1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი
**ამერი — სიონი**
თბილისი — ბოლნისი
დასაწყისი 13.30 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge



# ჩავერთე და შევაგდე
## ტორპედოსთვის ყველა დინამოა

*საქართველოს 16-ე ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტური იღბლიანი გამოდგა ქუთაისის „ტორპედოსთვის“. ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა თბილისში „დინამო“ დაამარცხა — 2:1. არადა, ქუთათურებმა მანამდე „ზესტაფონთან“ და „კოლხეთთან“ დაკარგეს ქულები, რამაც ბევრს ათქმევინა, „ტორპედოს“ მაქსიმუმი ესღა იყო და მეტს ველარ „გაქაჩავსო“.*

*ასეა თუ ისე, „ტორპედო“ მაინც ცდილობს საკუთარ თავზე გადახტომას და რამდენად გამოსდის, თავადაც ხედავთ. „დინამოსთან“ უმნიშვნელოვანეს ჯახში კი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ქუთაისელი გიორგი ნერგაძე იყო — გადამწყვეტი გოლი ხომ გაიტანა და მანამდე მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმაც საგოლე გამოდგა...*

— „დინამოსთან“ მოგებით ძალიან გავიხარეთ. არ მჯეროდა, რომ ჩვენ ეს შევძელით.

— იმედიც არ გქონდა?

— ზოგადი ნათქვამი კია, მაგრამ, საერთოდ, ყველა თამაშზე მოსაგებად მიდიხარ, თუმც... ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, ცოტა ძნელი იყო „დინამოს“ დამარცხებაზე ფიქრი. ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ პირველ გოლს ჩვენ გავიტანდით.

— და ამის შემდეგაც არ გჯეროდა მოგების?

— ამის შემდეგ უარესი მოხდა, „დინამომ“ ანგარიში გაათანაბრა და... ჩემს იმედებსაც ბოლო მოეღო. სამი ქულის აღება ფანტასტიკა მეგონა, მით უმეტეს, მეორე ტაიმი წინ იყო. ჩვენ კი ამ დროს ვიღლებით ხოლმე.

— გოლების გატანა, რომ იტყვიან, შენი საქმე არ არის. იმ მატჩში კი გაიტანე და თან გადამწყვეტი...

— ალბათ გამიმართლა. საყრდენი ნახევარმცველი ვარ და შეტევაში წასვლა იმდენად არ მომეთხოვება. იმ მომენტში კი რატომღაც ჩავერთე და შევაგდე კიდეც. მოკლედ, ნაღდად გამიმართლა.

— „დინამოსთან“ თამაშს განსაკუთრებულად გამოჰყოფ ხოლმე?

— რა ვიცი, რაღაც ხიბლი ნაღდად აქვს ჩვენს თამაშებს. ორივე გუნდი ლიდერია ქართულ ფეხბურთში, მეტნაკლებად სწორედ ჩვენი თამაშებია ყველაზე საინტერესო. თუმცა ამ სეზონში „ტორპედოსთვის“ ყველა თამაში რთული და გადამწყვეტია, ისეთივე, როგორიც „დინამოსთან“.

— „დინამოს“ ქომაგები რომ გისტვენდნენ, გაბრაზდი?

— დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. დაგვისტვენენ, აბა, რას იზამენ?! რა, ქუთაისში არ უსტვენენ „დინამოს“?! მოედნის გარეთ მხოლოდ ტაბლოს ვუყურებ. ესაა ფეხბურთში მთავარი და იმ დღეს ტაბლოს შეხედვა მართლა მიხაროდა.

— ამ მოგებამ, ცხადია, კლუბის ხელმძღვანელობაც გაახარა და, საერთოდ, რა სიტუაციაა ახლა „ტორპედოში“?

— უკეთესობა იგრძნობა. „დინამოსთან“ მოგებაზე კარგი პრემიებიც გვქონდა. რა ვიცი, გვპირდებიან, ყველაფერი გამოსწორდებაო და ჩვენც ამის გვჯერა.

— მალე გუნდთან კონტრაქტი გიმთავრდება და რას აპირებ?

— „ტორპედოს“ თებერვლამდე ვეკუთვნი. ახლა ჩემი მენეჯერი რუსულ ვარიანტებზე მუშაობს და თუ რამე გამოვიდა, ალბათ წავალ. ისე კი, „ტორპედოში“ დარჩენასაც არ გამოვრიცხავ, პირობებს გააჩნია.

**ქახა ზალამბერიძე**

# მარატ იზმაილოვი: მე ქართველმა მომარჩინა




*რუსული პრემიერლიგის დასრულებას ორი ტური უკლია. აშვეთია-ასათიანის „ლოკომოტივი“ მეორე ადგილზეა და ქულით ჩამორჩება ცსკა-ს. „ლოკომოტივი“ შარშანწინ კი გაჩემპიონდა რუსეთში, მაგრამ მაშინ იქ მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი არ თამაშობდნენ. ერთ სიტყვით, ლოკომოტიველი ქართველებისთვის რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატი განსაკუთრებული გამოწვევაა, თუმც აშვეთია ტრავმირებულია და ამ სეზონში „ლოკომოტივს“ ველარაფრით დაეხმარება.*

*ინტერვიუ კი „ლოკომოტივის“ და რუსეთის ერთ-ერთი უნიჭიერეს ფეხბურთელს, 22 წლის მარატ იზმაილოვს ჩამოვართვით, ვისაც გუშინ დავურეკეთ მოსკოვში...*

— „ლოკომოტივის“ საჩემპიონო შანსებს როგორ შეაფასებდით?

— კარგი შანსი გვაქვს. ჩვენ ახლა ერთადერთ რამეზე ვფიქრობთ — ორივე დარჩენილი მატჩი უნდა მოვიგოთ. კიდევ ის, რომ ცსკა-ს ჩავარდნას უნდა ველოდოთ.

— ცსკა-ს ალბათ „ლოკომოტივზე“ უარესი კალენდარი აქვს — მოსკოვის „დინამოსთან“ უწევს თამაში...

— ეს ჩვენთვის დიდი შანსია. იმედია, „დინამო“ ცსკა-სთან კარგად ითამაშებს.

— თქვენ ერთობ ტრავმიანი ფეხბურთელი ხართ და მიმდინარე სეზონშიც უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა არ გქონიათ — ახლა როგორ გრძნობთ თავს?

— ნორმალურად, აღარაფერი მაწუხებს.

— მართალია, რომ თქვენ ქართველ ექიმთანაც მკურნალობდით?

— ეგრეა, მე შოთა და არჩილ არველაძეებთან ვმეგობრობ და ქართველი ექიმიც არჩილმა გამაცნო — ვლადიმერ დათუნაშვილთან თერაპიული კურსი გავიარე — კოჭის ტრავმა მქონდა და, ფაქტობრივად, წელიწადნახევარი გამიცდა, მაგრამ დათუნაშვილთან მკურნალობა ძალიან დამეხმარა გამოჯანმრთელებაში.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე რა აზრის ხართ, როგორია თქვენი თვალით დანახული ჩვენი ნაკრები?

— თქვენს ნაკრებზე მაღალი აზრის ვარ, ბევრ ფეხბურთელს პირადად ვიცნობ კიდეც. თქვენი ნაკრებელები ძალიან ტექნიკურები არიან, ინდივიდუალურად საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელი ძალიან ძლიერია, მაგრამ უცნაურია, რომ ფინალურ ეტაპზე ერთხელაც ვერ გახვედით.

— მალხაზ ასათიანის ამპლუაზე ბევრს კამათობენ — თქვენი აზრით, რა პოზიციაზე უნდა ითამაშოს მან?

— ის ძალიან კარგი ფეხბურთელი და პიროვნებაა. ვფიქრობ, ერთნაირად თამაშობს დაცვაში, საყრდენ ნახევარმცველად და გამთამაშებლად — როცა მწვრთნელს გუნდში ასეთი ფეხბურთელი ჰყავს, ეს მისთვის ძალიან სასიხარულო უნდა იყოს.

— რუსეთის ნაკრებმა 13 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პორტუგალიასთან 1:7 წააგო — მაინც რა მოხდა ასეთი...

— ამაზე შეიძლება ბევრი ილაპარაკო, რამდენიმე ნიუანსი გამოჰყო, მაგრამ ორი სიტყვით ვერაფერს ახსნი. არ მიყვარს იმაზე ლაპარაკი, თუ რატომ მოხდა ეს, თუმც დასკვნების გამოტანა მართლაც გვმართებს. ეს მარცხი დიდხანს ემახსოვრებათ ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც.

— ლოკომოტიველ დმიტრი ხოხლოვს რატომ აღარ იწვევენ რუსეთის ნაკრებში? ამ საკითხზე საქართველოშიც ბევრს ლაპარაკობენ...

— ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის.

— უცხოეთში როდის აპირებთ კარიერის გაგრძელებას?

— ძალიან მინდა, სხვა რანგშიც მოვსინჯო ძალა, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული. ჯერ თავად უნდა ვიგრძნო, რომ ამისთვის მზად ვარ და ჩემი მსურველი კლუბიც კარგი უნდა იყოს.

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანი მცველი არაა, საუკეთესო მცველია



**ფეხბურთელი,** რომელსაც ადრე დაცვაში არაფერი ესაქმებოდა და ყოველთვის შეტევაზე ფიქრობდა, დიდი შანსია, რუსული პრემიერლიგის საუკეთესო ცენტრალური მცველი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, სადღეისო შედეგები ასეთია: მალხაზ ასათიანი შეფასებათა საშუალო 6,00 ქულით ლიდერობს. მეორე ადგილზე ტორპედოელი ანდრეი სტეპანოვია 5,94 ქულით, მერე მოდიან — სერგეი იგნაშევიჩი, დმიტრი სენიკოვი და დეივიდას შემბერასი.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივის“ თავკაც იური სიომინს თამამად შეუძლია თქვას, კარგი თვალი მაქვსო. ტიპიური გამთამაშებლიდან სიომინისეულ მცველად გარდასახული ასათიანი, რომელიც თავის მხრივ ალენ ჟირესმა საყრდენად აქცია, რუსეთში უბადლოა.

მალხაზი რუსმა ჟურნალისტებმა სხვა ნომინაციაშიც მოახვედრეს: ქართველი მცველი (თუ ნახევარმცველი) პრემიერლიგაში მოთამაშე უცხოელთა საუკეთესო ხუთეულშია: 1. ირჟი იაროშიკი (ჩეხეთი), 2. ჩიდი ოდია (ნიგერია), 3. ივიცა ოლიჩი (ხორვატია), 4-5. ელვერ რახიმიჩი (ბოსნია) და მალხაზ ასათიანი (საქართველო).

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ასათიანი ოთხჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში; პრემიერლიგის დასრულებამდე კი ორად ორი ტური დარჩა.

**ქახა ზალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.45 | 009 | დეპორტივო-ლივერპული | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.45 | 010 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.45 | 011 | დინამო-რეალი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 22.45 | 012 | რომა-ლევერკუზენი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.45 | 013 | ბაიერნი-იუვენტუსი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 22.45 | 014 | მაკაბი-აიაქსი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 22.45 | 015 | ლიონი-ფენერბაჰჩე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.45 | 016 | მანჩესტერი-სპარტა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 017 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 20.45 | 018 | გრაცერი-ამიკა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.00 | 019 | პარმა-სტიაუა | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 21.00 | 020 | პარტიზანი-ეგალეო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.15 | 021 | უტრეხტი-დნიპრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.30 | 022 | ბეშიქთაში-ბილბაო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 023 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.30 | 024 | ჰართსი-შალკე | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 22.30 | 025 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,12 | 5,6 | 12,5 | 1 | 1,02 | 3,86 |
| 22.45 | 026 | ლილი-ზენიტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.45 | 027 | აუსტრია-სარაგოსა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 028 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 23.00 | 029 | მიდლსბრო-ლაციო | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 23.15 | 030 | ალკმაარი-ოსერი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.30 | 031 | სევილია-ალემანია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 00.15 | 032 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 41 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 18:00 | 42 | ჩელსი-ევერტონი | 1.45 | 4.0 | 6.3 | 1.06 | 1.17 | 2.44 |
| 18:00 | 43 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.45 | 4.0 | 6.3 | 1.06 | 1.17 | 2.44 |
| 18:00 | 44 | ნორვიჩი-ბლექბერნი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 45 | ტოტენჰემი-ჩარლტონი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 46 | საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 47 | კრისტალ პალასი-არსენალი | 8.0 | 4.0 | 1.4 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 18:00 | 48 | მიდლსბრო-ბოლტონი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 49 | ნიუკასლი-ფულემი | 1.55 | 3.6 | 5.5 | 1.08 | 1.2 | 2.17 |
| 18:00 | 50 | მანჩესტერი-სიტი | 1.4 | 4.0 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 308 | ქოვენთრი-პრესტონი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:45 | 309 | დერბი-ბრაიტონი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 22:45 | 310 | ლიდსი-ბარნლი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 22:45 | 311 | ნოტინგემი-როტერჰემი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 359 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.2 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.09 | 3.77 |
| 18:00 | 360 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 361 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 18:00 | 362 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 363 | ლივინგსტონი-რეინჯერსი | 8.2 | 4.2 | 1.35 | 2.77 | 1.15 | 1.02 |
| 18:00 | 364 | აბერდინი-ჰართსი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **გერმანია.I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 51 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1.35 | 4.3 | 8.3 | 1.02 | 1.16 | 2.83 |
| 17:30 | 52 | არმინია-დორტმუნდი | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 17:30 | 53 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 17:30 | 54 | ჰერტა-ვერდერი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | [illegible] |
| 17:30 | 55 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1.5 | 3.7 | 6.3 | 1.06 | 1.21 | 2.33 |
| 17:30 | 56 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 17:30 | 57 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 58 | შტუტგარტი-ჰანზა | 1.4 | 4.4 | 6.5 | 1.06 | 1.15 | 2.62 |
| 19:30 | 59 | ჰამბურგი-შალკე | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 379 | აინტრახტი-აუე | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 21:00 | 380 | ბურგჰაუზენი-ტრირი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 381 | კარლსრუე-უნტერჰახინგი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 382 | კოტბუსი-ერფურტი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 17:00 | 383 | კიოლნი-ალენი | 1.55 | 3.7 | 5.2 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 17:00 | 384 | დინამო-ფიურტი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 17:00 | 385 | ზაარბრიუკენი-მიუნხენი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 17:00 | 386 | ობერჰაუზენი-ესენი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **8 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 387 | დუისბურგი-ალემანია | 2.0 | 3.1 | 3.3 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 407 | ადმირა-ზალცბურგი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 20:00 | 408 | მატერსბურგი-რაპიდი | 3.6 | 3.3 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 20:00 | 409 | შტურმი-ტიროლი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 17:30 | 410 | პაშინგი-გრაცერი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 411 | აუსტრია-ბრეგენცი | 1.2 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.33 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 417 | თუნი-შაფჰაუზენი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 418 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 419 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 420 | სერვეტი-ქსამაქსი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:15 | 421 | აარაუ-ციურიხი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია À** | | | | | | |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 60 | ატალანტა-სამპდორია | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| 17:00 | 61 | ბოლონია-მესინა | 2.0 | 3.0 | 3.8 | 1.2 | 1.31 | 1.67 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 62 | ბრეშა-კიევო | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| 17:00 | 63 | კალიარი-ლივორნო | 1.9 | 3.1 | 4.0 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 17:00 | 64 | ფიორენტინა-ინტერი | 3.3 | 3.1 | 2.1 | 1.59 | 1.28 | 1.25 |
| 17:00 | 65 | ლაციო-სიენა | 1.65 | 3.3 | 5.3 | 1.1 | 1.25 | 2.03 |
| 17:00 | 66 | ლეჩე-უდინეზე | 2.2 | 3.0 | 3.2 | 1.26 | 1.3 | 1.54 |
| 17:00 | 67 | მილანი-რომა | 1.65 | 3.3 | 5.3 | 1.1 | 1.25 | 2.03 |
| 17:00 | 68 | პალერმო-პარმა | 1.9 | 3.1 | 4.0 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| 17:00 | 69 | რეჯინა-იუვენტუსი | 5.3 | 3.3 | 1.65 | 2.03 | 1.25 | 1.1 |

**იტალია. სერია B**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 734 | ალბინოლეფე-ტრიესტინა | 1.9 | 2.9 | 4.0 | 1.14 | 1.28 | 1.68 |

**ესპანეთი. პირველი დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 70 | ალბასეტე-ბეტისი | 2.4 | 3.1 | 2.8 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 22:00 | 72 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 71 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 19:00 | 73 | ხეტაფე-ვალენსია | 3.7 | 3.0 | 2.0 | 1.65 | 1.29 | 1.2 |
| 19:00 | 74 | ლევანტე-ბილბაო | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 75 | მალაგა-რეალი | 3.7 | 3.0 | 2.0 | 1.65 | 1.29 | 1.2 |
| 19:00 | 76 | რასინგი-ნუმანსია | 1.85 | 3.2 | 4.1 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 19:00 | 77 | სევილია-მალიორკა | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 78 | სოსიედადი-ესპანიოლი | 2.3 | 3.1 | 3.0 | 1.32 | 1.3 | 1.52 |
| 19:00 | 79 | ვილიარეალი-ოსასუნა | 2.0 | 3.1 | 3.6 | 1.21 | 1.28 | 1.66 |

**საფრანგეთი. პირველი დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 473 | სტ.ეტიენი-ნიცა | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 19:15 | 474 | სტრასბური-ბორდო | 2.7 | 2.9 | 2.6 | 1.39 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 475 | ტულუზი-მეცი | 1.95 | 3.0 | 4.0 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 22:00 | 476 | ბასტია-რენი | 2.1 | 3.0 | 3.5 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 477 | კაენი-სოშო | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 22:00 | 478 | ლანსი-ლიონი | 3.3 | 2.9 | 2.2 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| 22:00 | 479 | მონაკო-აიაჩო | 1.4 | 4.0 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 480 | ნანტი-ოსერი | 2.2 | 3.0 | 3.2 | 1.26 | 1.3 | 1.54 |
| 20:00 | 481 | ისტრი-ლილი | 3.1 | 3.0 | 2.3 | 1.52 | 1.32 | 1.3 |
| 23:00 | 482 | პსჟ-მარსელი | 2.2 | 3.0 | 3.2 | 1.26 | 1.3 | 1.54 |

**ბელგია. პირველი დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 494 | ბრიუგე-ვესტერლო | 1.2 | 5.3 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.57 |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 495 | ანდერლეხტი-ლუვიე | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 22:00 | 496 | მონსი-სტანდარდი | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 22:00 | 497 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 22:00 | 498 | ლიერსი-შარლერუა | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 22:00 | 499 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 500 | ბევერენი-გენკი | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 17:00 | 501 | ოსტენდე-სერკლი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 17:00 | 502 | გენტი-ბრიუსელი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |

**ჰოლანდია. პირველი დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 512 | როზენდალი-გრააფსხაპი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **6 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 513 | ვალვაიკი-ჰერენვენი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **7 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 514 | ალკმაარი-უტრეხტი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 14:30 | 515 | ტილბურგი-აიაქსი | 3.6 | 3.2 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 16:30 | 516 | დენ ბოსხი-პსვ | 7.0 | 4.1 | 1.4 | 2.58 | 1.16 | 1.04 |
| 16:30 | 517 | ფეინოორდი-ბრედა | 1.35 | 4.2 | 7.7 | 1.02 | 1.14 | 2.71 |
| 16:30 | 518 | ტვენტე-გრონინგენი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 16:30 | 519 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანია. სუპერლიგა**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:05 | 617 | ორჰუსი-ოლბორგი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 20:30 | 618 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 20:30 | 619 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2.6 | 3.1 | 2.5 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 20:30 | 620 | ნორდსიელანდი-რანდერსი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| 20:30 | 621 | ოდენსე-ჰერფიოლგე | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 20:30 | 622 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |

**მექსიკა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 645 | პუებლა-პაჩუკა | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 646 | სანტოსი-ტოლუკა | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 647 | ნეკახა-ჩივასი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 648 | ამერიკა-ვერაკრუსი | 2.4 | 3.2 | 2.5 | 1.37 | 1.22 | 1.4 |
| 23:45 | 649 | მორელია-ტეკოსი | 1.7 | 3.2 | 4.4 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 23:45 | 650 | ატლასი-კრუს ასული | 1.6 | 3.5 | 4.7 | 1.09 | 1.19 | 2.0 |
| 23:45 | 651 | დორადოსი-ტიგრესი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 652 | ხაგუარესი-ატლანტე | 2.1 | 3.2 | 2.9 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 653 | მონტერეი-პუმასი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

**ჩილე**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 685 | აუდაქსი-ტემუკო | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 686 | კორბელოა-კონსეფსიონი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 687 | კობრესალი-უონდერერსი | 1.6 | 3.4 | 5.4 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 23:45 | 688 | ევერტონი-რეინჯერსი | 1.65 | 3.3 | 4.7 | 1.1 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 689 | უაჩიპატო-პუერტო მონტი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:45 | 690 | სერენა-კოკიმბო | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 691 | პალესტინო-კოლო კოლო | 3.8 | 3.3 | 1.8 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 23:45 | 692 | სან ფელიპე-უნ. ესპანიოლა | 1.8 | 3.4 | 3.7 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 693 | უნ.ჩილე-უნ.კატოლიკა | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |

**ინგლისი. თასი**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 723 | როვერსი-ბარნეტი | 1.6 | 3.2 | 3.8 | 1.06 | 1.12 | 1.73 |

**შვედეთი. თასი**

**6 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 735 | იურგორდენი-გიოტებორგი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |

**შვედეთი. პლეი ოფი**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 738 | ასირისკა-იორგრიტე | 3.6 | 3.3 | 1.9 | 1.72 | 1.24 | 1.2 |

**ნორვეგია თასი**

**7 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 739 | ლინი-ბრანი | 2.55 | 3.2 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 822 | ჰელსინკი-ტაპარა | 1.85 | 4.4 | 2.9 | 1.3 | 1.12 | 1.74 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**3 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 903 | მაგნიტოგორსკი-ავანგარდი | 1.7 | 4.6 | 3.1 | 1.24 | 1.09 | 1.85 |
| 15:00 | 904 | ნოვოკუზნეცკი-ნეფტეხიმიკი | 1.2 | 6.5 | 6.5 | 1.01 | 1.01 | 3.25 |
| 16:30 | 905 | ს.იულაევი-აკ | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 15:30 | 906 | სიბირი-აკ ბარსი | 2.9 | 4.5 | 1.75 | 1.76 | 1.09 | 1.25 |
| 19:00 | 907 | სპარტაკი-მოლოტი | 1.65 | 4.8 | 3.2 | 1.22 | 1.08 | 1.91 |
| 19:00 | 908 | დინამო-ხიმიკი | 1.4 | 6.0 | 4.5 | 1.13 | 1.06 | 2.57 |
| 17:30 | 909 | ლადა-სევერსტალი | 1.7 | 4.6 | 3.1 | 1.24 | 1.09 | 1.85 |
| 19:00 | 910 | ლოკომოტივი-ცსკა | 1.55 | 5.0 | 3.7 | 1.18 | 1.09 | 2.12 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | დეპორტივო-ლივერპული | 2,6 | 2,0 | 3,8 | 1,13 | 1,54 | 1,31 |
| 5010 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |
| 5011 | დინამო-რეალი | 3,6 | 2,0 | 2,7 | 1,28 | 1,54 | 1,14 |
| 5012 | რომა-ლევერკუზენი | 2,4 | 2,05 | 4,2 | 1,1 | 1,52 | 1,37 |
| 5013 | ბაიერნი-იუვენტუსი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| 5014 | მაკაბი-აიაქსი | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5015 | ლიონი-ფენერბაჩე | 1,75 | 2,35 | 6,5 | 1 | 1,37 | 1,72 |
| 5016 | მანჩესტერი-სპარტა | 1,4 | 3,0 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,18 |
| 5017 | შტუტგარტი-ბენფიკა | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5018 | გრაცერი-ამიკა | 1,9 | 2,25 | 5,6 | 1,03 | 1,41 | 1,6 |
| 5019 | პარმა-სტიაუა | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |
| 5020 | პარტიზანი-ეგალეო | 1,8 | 2,3 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,66 |
| 5021 | უტრეხტი-დნიპრო | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5022 | ბეშიქთაში-ბილბაო | 2,9 | 2,0 | 3,4 | 1,18 | 1,56 | 1,25 |
| 5023 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,8 | 2,3 | 6,0 | 1 | 1,38 | 1,66 |
| 5024 | ჰართსი-შალკე | 4,6 | 2,05 | 2,3 | 1,41 | 1,53 | 1,08 |
| 5025 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,3 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,38 |
| 5026 | ლილი-ზენიტი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5027 | აუსტრია-სარაგოსა | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5028 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 4,0 | 2,05 | 2,45 | 1,35 | 1,51 | 1,11 |
| 5029 | მიდლსბრო-ლაციო | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5030 | ალკმაარი-ოსერი | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |
| 5031 | სევილია-ალემანია | 1,45 | 2,8 | 8,0 | 1 | 1,22 | 2,07 |
| 5032 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,55 | 2,6 | 7,5 | 1 | 1,28 | 1,93 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | დეპორტივო-ლივერპული | 1,8 | 2,0 |
| 5410 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 1,85 | 1,95 |
| 5411 | დინამო-რეალი | 2,0 | 1,8 |
| 5412 | რომა-ლევერკუზენი | 1,75 | 2,1 |
| 5413 | ბაიერნი-იუვენტუსი | 1,85 | 1,95 |
| 5414 | მაკაბი-აიაქსი | 2,2 | 1,7 |
| 5415 | ლიონი-ფენერბაჩე | 1,3 | 3,4 |
| 5416 | მანჩესტერი-სპარტა | 1,2 | 4,0 |
| 5417 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,45 | 2,8 |
| 5418 | გრაცერი-ამიკა | 1,4 | 3,0 |
| 5419 | პარმა-სტიაუა | 1,45 | 2,8 |
| 5420 | პარტიზანი-ეგალეო | 1,35 | 3,2 |
| 5421 | უტრეხტი-დნიპრო | 1,6 | 2,4 |
| 5422 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,85 | 1,95 |
| 5423 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,35 | 3,2 |
| 5424 | ჰართსი-შალკე | 2,2 | 1,7 |
| 5425 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,1 | 5,0 |
| 5426 | ლილი-ზენიტი | 1,6 | 2,4 |
| 5427 | აუსტრია-სარაგოსა | 1,95 | 1,85 |
| 5428 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 2,0 | 1,8 |
| 5429 | მიდლსბრო-ლაციო | 1,65 | 2,3 |
| 5430 | ალკმაარი-ოსერი | 1,85 | 1,95 |
| 5431 | სევილია-ალემანია | 1,2 | 4,0 |
| 5432 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,25 | 3,7 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | დეპორტივო-ლივერპული | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5110 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5111 | დინამო-რეალი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5112 | რომა-ლევერკუზენი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5113 | ბაიერნი-იუვენტუსი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5114 | მაკაბი-აიაქსი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5115 | ლიონი-ფენერბაჩე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5116 | მანჩესტერი-სპარტა | 1,4 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5117 | შტუტგარტი-ბენფიკა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5118 | გრაცერი-ამიკა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5119 | პარმა-სტიაუა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5120 | პარტიზანი-ეგალეო | 2,0 | 10,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5121 | უტრეხტი-დნიპრო | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5122 | ბეშიქთაში-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5123 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5124 | ჰართსი-შალკე | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 5125 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,25 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,5 | 20,0 | 25,0 | 20,0 | 20,0 |
| 5126 | ლილი-ზენიტი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5127 | აუსტრია-სარაგოსა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5128 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5129 | მიდლსბრო-ლაციო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5130 | ალკმაარი-ოსერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5131 | სევილია-ალემანია | 1,5 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5132 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,6 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | დეპორტივო-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | დინამო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | რომა-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ბაიერნი-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | მაკაბი-აიაქსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ლიონი-ფენერბაჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | მანჩესტერი-სპარტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | შტუტგარტი-ბენფიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | გრაცერი-ამიკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | პარმა-სტიაუა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | პარტიზანი-ეგალეო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | უტრეხტი-დნიპრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ბეშიქთაში-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | დინამო(ზ)-ბევერენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ჰართსი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ლილი-ზენიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | აუსტრია-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | მიდლსბრო-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ალკმაარი-ოსერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | სევილია-ალემანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | სპორტინგი-პანიონიოსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | დეპორტივო-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 1,7 | 1,9 |
| 5311 | დინამო-რეალი | 1,7 | 1,9 |
| 5312 | რომა-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5313 | ბაიერნი-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | მაკაბი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ლიონი-ფენერბაჩე | 1,7 | 1,9 |
| 5316 | მანჩესტერი-სპარტა | 1,8 | 1,8 |
| 5317 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5318 | გრაცერი-ამიკა | 1,7 | 1,9 |
| 5319 | პარმა-სტიაუა | 1,7 | 1,9 |
| 5320 | პარტიზანი-ეგალეო | 1,75 | 1,85 |
| 5321 | უტრეხტი-დნიპრო | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5323 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ჰართსი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 5325 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,9 | 1,7 |
| 5326 | ლილი-ზენიტი | 1,75 | 1,85 |
| 5327 | აუსტრია-სარაგოსა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 1,7 | 1,9 |
| 5329 | მიდლსბრო-ლაციო | 1,7 | 1,9 |
| 5330 | ალკმაარი-ოსერი | 1,7 | 1,9 |
| 5331 | სევილია-ალემანია | 1,9 | 1,7 |
| 5332 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,9 | 1,7 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | დეპორტივო-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5210 | ოლიმპიაკოსი-მონაკო | 1,65 | 1,95 |
| 5211 | დინამო-რეალი | 1,8 | 1,8 |
| 5212 | რომა-ლევერკუზენი | 1,95 | 1,65 |
| 5213 | ბაიერნი-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5214 | მაკაბი-აიაქსი | 1,7 | 1,9 |
| 5215 | ლიონი-ფენერბაჩე | 1,8 | 1,8 |
| 5216 | მანჩესტერი-სპარტა | 1,95 | 1,65 |
| 5217 | შტუტგარტი-ბენფიკა | 1,7 | 1,9 |
| 5218 | გრაცერი-ამიკა | 1,85 | 1,75 |
| 5219 | პარმა-სტიაუა | 1,7 | 1,9 |
| 5220 | პარტიზანი-ეგალეო | 1,75 | 1,85 |
| 5221 | უტრეხტი-დნიპრო | 1,8 | 1,8 |
| 5222 | ბეშიქთაში-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 5223 | დინამო(ზ)-ბევერენი | 1,9 | 1,7 |
| 5224 | ჰართსი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5225 | ნიუკასლი-დინამო(თბ) | 1,95 | 1,55 |
| 5226 | ლილი-ზენიტი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | აუსტრია-სარაგოსა | 1,6 | 2,0 |
| 5228 | ფერენცვაროში-ფეიენოორდი | 1,8 | 1,8 |
| 5229 | მიდლსბრო-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5230 | ალკმაარი-ოსერი | 1,7 | 1,9 |
| 5231 | სევილია-ალემანია | 1,9 | 1,7 |
| 5232 | სპორტინგი-პანიონიოსი | 1,9 | 1,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაიკოვიჩი წავიდა?

## პაველ გოოგეს ქართული ზარის წკრიალი ჯერ არ გაუგია...





გიორგი ცინცაძე კიდევ ბევრს ისწავლის პაველ გოოგესგან

გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ „დინამოდან" გაშვებული დრაჟენ ბრაიკოვიჩი ეროვნულ ნაკრებსაც ტოვებს. სავარაუდოდ, მწვრთნელის განთავისუფლებას ისე არ გადაწყვეტდნენ, ვინმე რომ არ ჰყოლოდათ შეგულებული, თუმც ამაზე ლაპარაკს ფედერაციაში ჯერ ერიდებიან. ჩვენ კი ვიცით, რომ საქართველოს ნაკრებს ჰყავს მწვრთნელობის ოდინდელი კანდიდატი, ახლახან მოსკოვის ცსკა-დან „სამარაში" სტაჟირებაზე გაგზავნილი პაველ გოოგე, რომლის ჩამოყვანაც ფედერაციის მესვეურებმა არაერთხელ ამაოდ სცადეს. რა მოხდა მაშინ, ნაკლებად საინტერესოა, მთავარი ისაა, კვლავაც აპირებს თუ არა ჩვენი ფედერაცია პაველ ედმუნდოვიჩისთვის ნაკრების ჩაბარებას. რომც აპირებდეს, სანამ საქმე ბოლომდე არ მივა, ამას აქ არავინ იტყვის, ამიტომაც სამარაში თავად პაველ გოოგეს შევეხმიანეთ...

— პაველ ედმუნდოვიჩ, გაიგებდით, რომ საქართველოს ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა...

— მართლა? არ ვიცოდი. გიორგი ცინცაძემ მითხრა, რომ დრაჟენ ბრაიკოვიჩი „დინამოდან" წავიდა, ხოლო ნაკრებსაც რომ აღარ ხელმძღვანელობს ეს თქვენგან გავიგე.

— თქვენ ბრაიკოვიჩის დანიშვნამდეც ითვლებოდით საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად და მერეც. ხორვატი მწვრთნელის წასვლის შემდეგ ალბათ ისევ შეგეხმიანებიან საქართველოდან...

— პირველი თქვენ ხართ, რომელიც ბრაიკოვიჩის წასვლის შემდეგ რეკავთ ჩემთან. საქართველოდან, მით უმეტეს, კალათბურთის ფედერაციიდან, არავინ დამკავშირებია.

— რომ დაგიკავშირდნენ, დათანხმდებით? გაწვრთნით ჩვენს ნაკრებს?

— ჯერ დამირეკონ და მაგაზე მერე ვიფიქრებ.

— ამ ზაფხულს თითქოს თანახმა იყავით. მაშინ „სარბიელთან" ინტერვიუში დაადასტურეთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან შეგეხმიანნენ...

— მაშინ მე გადაჭრით არ მითქვამს, თანახმა ვარ-მეთქი. უბრალოდ, ჩემი სიმპათია გამოვხატე თქვენი ნაკრების მიმართ. ვთქვი, რომ ძალიან პერსპექტიული გუნდია და მიზანმიმართული მუშაობით კარგი შედეგის მიღწევა შეიძლებოდა.

— ახლაც რომ დაგიკავშირდნენ, მზად ხართ მოლაპარაკების დაწყებაზე?

— დამირეკონ და ვნახოთ. ისე, რატომაც არა...

— „სამარაზე" ვისაუბროთ. რატომ არჩიეთ ეგ გუნდი ცსკა-ს?

— მე არ ვარჩიე და ცსკა-დანაც არ წამოვსულვარ. აქ სტაჟირებაზე ვიმყოფები, „სამარას" მხოლოდ ერთი სეზონი ვუთავკაცებ და ისევ ცსკაში დავბრუნდები. მე ახლაც ცსკა მიხდის ხელფასს. იყო კიდევ ერთი მომენტი, რატომაც „სამარაში" გამომიშვეს. როგორც იცით, ცსკა-მ „სამარაში" რვა ახალგაზრდა კალათბურთელი გაანათხოვრა და მეც ამ ბიჭებს გამომაყოლეს. ამ რვიდან თქვენებური გიორგი ცინცაძე და კიდევ ორი ცსკა-ელი „სამარას" ძირითად გუნდში თამაშობენ, დანარჩენებიც ჩემი თვალთახედვის არეში არიან სამარელთა დუბლიორებში.

— გიორგი ცინცაძეზე რას იტყვით, როგორ შეეგუა რუსეთის სუპერლიგას?

— ახლა გიორგის რთული დროება უდგას. ის უცბად მოხვდა რუსეთის სუპერლიგაში, სადაც თუ საკმაო გამოცდილება არ გაქვს, ვერ ითამაშებ. ცინცაძეს კარგი სკოლა აქვს გავლილი ცსკა-ში, მაგრამ საიმისოდ ნამდვილად არაა მზად, რომ სუპერლიგაში წარმატებით და რაც მთავარია, სტაბილურად ითამაშოს. მას ერთი-ორი თვე სჭირდება, რათა ალღო აუღოს უმაღლესი დონის კალათბურთს და მერე ყველაფერი კარგად წაუვა.

— ცინცაძეს ხომ აქვს გარკვეული გამოცდილება, ცსკა-ს ძირითად გუნდში მან რამდენჯერმე წარმატებით ითამაშა...

— ცსკა სხვაა, „სამარა" სხვა. მოსკოვში ის ისეთ გუნდში თამაშობდა, სადაც თითქმის ყველა ვარსკვლავი იყო და გიორგისაც არაფერი უჭირდა. მათ, რომლებიც გიორგისთან ერთად იყვნენ მოედანზე, დასამტკიცებელი არაფერი ჰქონდა და ახალგაზრდა ცინცაძესაც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. „სამარაში" კი ვის სცალია მისთვის, ცდილობენ, ჯერ თავიანთი საქმე გააკეთონ და მერე იზრუნონ სხვაზე. თანაც სამარელთა გუნდი შედარებით სუსტია და აქ ექსპერიმენტებისთვის არავის სცალია. ვინც მოედანზე გადის, ყველას საფიქრალი მხოლოდ მოგებაა.

— გიორგი არ იყო „ხიმკისთან" მატჩის განაცხადში... მას „სამარის" დუბლიორთა გუნდში ხომ არ უპირებთ გადაყვანას?

— არა, ცინცაძეს დუბლიორებში არ გადავიყვან, დროა, დიდი კალათბურთის თამაშს შეეჩვიოს. „ხიმკისთან" კი იმიტომ არ ითამაშა, რომ მატჩისწინა ვარჯიშზე ფეხი ამოუტრიალდა და მოვერიდე მის დატვირთვას. გიორგი ახლა უკვე მწყობრშია და „დინამოსთან" მატჩის თორმეტკაციან განაცხადშიც შევიყვანე, ხოლო ითამაშებს თუ არა, ჯერ ვერ ვიტყვი.

**ირაკლი პერტაია**

# აურზაური

## მემფისმა ფაჩულიას კასეტა ამოუჩხრიკა



**დღეს** დილით „მემფის გრიზლიზს" ნბა-ს ახალი სეზონის პირველი მატჩი უნდა გაემართა და ვინძლო, „დათვების" შემადგენლობაში ლორენცენ რაიტმაც კი ითამაშა, თუმც გუშინწინ საქმე ისე იყო, რომ ამ წოწოლა ცენტრალურ თავდამსხმელს მოედანზე გასვლა აეკრძალა.

სეზონის პირველ თამაშში რაიტის დისკვალიფიკაციის მიზეზი ჩვენებური ზაზა ფაჩულია გახლდათ, ვისთანაც წინა კვირაში მემფისელ ცენტრს საგამოფენო მატჩისას შეტაკება მოუხდა. ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო და რაიტი ქართველი მეტოქის აქტიურობამ ისე განარისხა, რომ ფაჩულიას ხელი შემოსცხო. მემფისელი მოძალადე დაუყოვნებლივ მიაბრძანეს მოედნიდან და გუშინწინ მას ერთთამაშიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს. ეს იკმარეო, თქვეს დისციპლინარებმა და რაიტს 87-ათასიანი ჯარიმა აღარ გადაახდევინეს. აპირებდნენ კია...

ახლა კი მთელი „მემფისი" აღშფოთებულა, რაიტს დისკვალიფიკაცია მოუხსენით, მისი დანაშაული ხომ ფაჩულიას არასპორტულმა საქციელმა გამოიწვიაო.

„მე გაოცებული ვარ, რატომ არ გაითვალისწინეს მსაჯებმა ის გარემოება, რომ ფაჩულია რაიტს ეუხეშებოდა — განაცხადა „მემფისის" მთავარმა და ნბა-ს წინა სეზონის საუკეთესო მწვრთნელმა ჰუბი ბრაუნმა — ჩვენ ვიდეოფირს გავუგზავნით ლიგის ხელმძღვანელებს და ისინი კარგად დაინახავენ, რომ ზაზა ფაჩულიამ რაიტს ორჯერ მოარტყა იდაყვი სახეში. ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ დაუბრუნა ხურდა მეტოქს ჩვენიანმა. ფაჩულია არანაკლებ დამნაშავეა მომხდარში და მან ამისთვის არათუ დიკვალიფიკაცია, უბრალო ჯარიმაც კი არ მიიღო."

**ირაკლი პერტაია**

ძიუდო

# ზურაბ ზვიადაური მსოფლიოში საუკეთესოა!

## ოტო კნეითინგერი ქართველებით აღფრთოვანებულია

ოტო კნეითინგერს იქნებ ჩვენში არ იცნობდნენ, მაგრამ ეს კაცი ძიუდოს სამყაროში ვიღაცა არაა. ზურაბ ზვიადაურის გერმანულ კლუბ „აბენსბერგის" პრეზიდენტი პარალელურად ევროპული ძიუდოს სათავეებშიც დგას, ვიცეპრეზიდენტია და მისით ამიტომაც დავინტერესდით. გუშინწინ რომ შევეხმიანეთ, ცოტა ჭირვეულ კაცად გვეჩვენა. საღამომდე არ მცალიაო, მკვახედ გვიპასუხა, მაგრამ მერე საქმეში ისევ ზვიადაური ჩავრიეთ და ყველაფერი ნახევარ საათში მოგვარდა. როგორც აღმოჩნდა, იმ წუთებში კნეითინგერი აეროპორტში იმყოფებოდა და ზურას თბილისში გამომგზავრების პრობლემას უგვარებდა. ნახევარ საათში ბატონი ოტო სულ სხვანაირი გვეჩვენა. საუბარი კი წინა დღის ამბებით დავიწყეთ — „აბენსბერგის" ბუნდესჩემპიონობას პრეზიდენტის დაბადების დღე დაემთხვა



— პირველ რიგში დაბადების დღეს გილოცავთ. როგორ აღნიშნეთ?

— დიდი ფართი მოვაწყვე და ვინც შეიძლებოდა, ყველა დავპატიჟე. მართლა კარგი დრო ვატარეთ. ასეთი ხალისიანი დაბადების დღე არც კი მახსოვს, ბოლოს როდის მქონდა. სტუმრებს შორის, ცხადია, ჩემი გუნდის ძიუდოისტებიც იყვნენ და მათ შორის თქვენებური ზვიადაურიც.

— საიუბილეოდ „აბენსბერგმა" კარგი საჩუქარი მოგიძღვნათ და ამაში მნიშვნელოვანი როლი ზურამაც ითამაშა...

— მე ვიტყოდი, გადამწყვეტი. ერთ სიტყვას არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ქართველმა უნაკლოდ იჭიდავა. ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა ბრწყინვალე გდებით მოიგო. მხარი სხვა თანაგუნდელებმაც აუბეს და ისეთი სიურპრიზი მომიწყვეს, უკეთესს ვერც ვინატრებდი.

— ზვიადაურის გარდა „აბენსბერგში" სხვა ოლიმპიური ჩემპიონიც ხომ არ გყავთ?

— არა, მაგრამ ეს ერთიც სავსებით საკმარისია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ზვიადაურის აბენსბერგში ყოფნამ მაყურებლის ინტერესიც გაზარდა. გულშემატკივარი გაცილებით მეტი გვყავს, ვიდრე ადრე. კონკურენტებიც მეტი პატივისცემით გვეპყრობიან. ეს ჩვენთვის უდიდესი სტიმულია.

— საინტერესოა, როგორ დაახასიათებს ზვიადაურს „აბენსბერგის" პრეზიდენტი...

— ზურა დიდი ბავშვია. რაღაც განსაკუთრებული მუხტის მქონე. გარდა იმისა, რომ გადასარევი სპორტსმენია, პიროვნულადაც განსაკუთრებული აურა აქვს. კლუბში ყველას გამორჩეულად უყვარს. მე კი ისე მიყვარს, როგორც პატარა ბავშვი.

— როგორც ვიცით, ძველ კონტრაქტს ვადა გაუვიდა. გახანგრძლივებაზე ხომ არ ჩამოუგდეთ სიტყვა?

— აბა, სხვანაირად როგორ მოვიქცეოდი. ჩვენ მზად ვართ, ახალი ხელშეკრულება გავუფორმოთ, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფერი გადაწყვეტილა. ალბათ წლის ბოლოს დავილაპარაკებთ.

— სხვა ქართველებით გაძლიერებასაც ხომ არ აპირებთ?

— სურვილი კი მაქვს, მაგრამ კონკრეტულად არც ამ საკითხზე შემიძლია ლაპარაკი. როგორც ვიცი, შოთა ხაბარელი ახალ კლუბს აკეთებს და მინდა მასთან ვითანამშრომლოთ.

— რა სახით?

— ჯერ ვერ გეტყვით. თავად უნდა ვიფიქრო.

— გავიგეთ, თითქოს ოლიმპიურ ჩემპიონ ილიადისზეც დაგიდგამთ თვალი.

— ილიადისზე თუ ზვიადაურზე? როგორც ვიცი, იგი ზურას ახლო ნათესავია, თან არც ერთ კლუბთან კონტრაქტი არა აქვს და, ცხადია, ყველა ღონეს ვიხმარ, „აბენსბერგში" წამოვიყვანო. აბა, რა სჯობია გუნდში ორი ოლიმპიური ჩემპიონის და თანაც, ორი ზვიადაურის ყოლას.

— ისევ ზურაზე გკითხავთ. მის ათენურ გაჩემპიონებას სად უყურეთ?

— ავსტრიაში ვიყავი, საქმიან შეხვედრაზე და ტელევიზორთან ვქომაგობდი. იაპონელი რომ დასცა, მგონი, ქართველ გულშემატკივრებზე მეტად გავიხარე. უბედნიერესი წუთები იყო. იმავე საღამოს დავურეკე და მივულოცე.

— ბუნდესლიგის ფინალამდე ზურამ აბენსბერგში ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც იჭიდავა, მაგრამ წარუმატებლად. აქ ზოგი ამბობს, წააგოო, ზოგიც — მსაჯებმა მოხსნესო.

— მართლა მსაჯებმა მოხსნეს. წინა დღეებში ტრავმამ შეაწუხა და შეიძლება ამანაც იქონია გავლენა. ერთ მომენტში ისეთი ილეთი გააკეთა, მსაჯებს არ მოეწონათ და ჭიდაობა აღარ გააგრძელებინეს. სულ ეს იყო.

— აბენსბერგში თურქული კლუბის სახელით მოჭიდავე ქართველებსაც ნახავდით. მათზე რას ფიქრობთ?

— ქართველებმა ჭიდაობა რომ ბევრზე უკეთ იცით, ამას ჩემი მტკიცება არ სჭირდება. ძალიან ძლიერი ძიუდოისტები გყავთ, რაც საერთაშორისო შედეგებზეც აისახება.

— ესე იგი ქართველ სპორტსმენებს მანამდეც იცნობდით?

— რა თქმა უნდა, ბევრ ტურნირზე მინახავს თქვენებურების გამოსვლა და კარგადაც მასიამოვნეს, მაგრამ გვარ-სახელით ახლა რატომღაც მხოლოდ გიორგი რევაზიშვილი მახსენდება.

— თავად თუ ჭიდაობდით?

— ვჭიდაობდი, მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე თავი არაფრით გამომიჩენია. ასე ვთქვათ, გერმანიას ვერ გავცდი.

— „აბენსბერგის" პრეზიდენტობის გარდა თქვენ ძიუდოს ევროპის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტიც ბრძანდებით. საერთაშორისო ტურნირებზე მსაჯობის პრობლემებთან დაკავშირებით რას იტყვით?

— მაგ საკითხში ნაკლებად კომპეტენტური ვარ.

— ქართული ძიუდოს ტრადიციებზე თქვით და მგონი, დაეთანხმებით აზრს, რომ აქაურ მსაჯებსაც მეტი ყურადღება სჭირდებათ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ქართველ მსაჯებს კვალიფიკაცია აკლიათ.

— მაშინ რატომ არ იყო არც ერთი მათგანი ოლიმპიადაზე?

— ვერც ამაზე გიპასუხებთ. ათენში მხოლოდ რვა ევროპული ქვეყნის მსაჯები მიიწვიეს. გარკვეული კვოტა არსებობდა, რომელშიც ყველა ვერ მოხვდებოდა.

— თქვენი აზრით, ვინაა ევროპის უძლიერესი ძიუდოისტი?

— ზურაბ ზვიადაური არათუ ევროპის, მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტია. ამას იმიტომ არ გეუბნებით, ქართველი რომ ხართ. იგი მართლა ძალიან ძლიერია. უფროსი თაობიდან კი ყველაზე დიდ პატივს დავიდ დუიეს ვცემ.

— ოლიმპიადის შემდეგ ყველა სახეობაში გამოარჩიეს საუკეთესო ევროპელები, ძიუდოში კი ეს პატივი ზვიადაურს ერგო. ამაში თქვენც ხომ არ მიიღეთ მონაწილეობა?

— არა. იგი სხვებმა აღიარეს. მე მხოლოდ მიუნხენის აეროპორტამდე მივაცილე და ლოზანისკენ გზა დავულოცე.

— დღეს კი თბილისში გამოაცილეთ. თავად თუ აპირებთ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლას?

— საქართველოს ნახვა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. უკვე გადავწყვიტე, იანვარში ავისრულო. თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე გესტუმრებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**
**ლადო ჭულუკიძე**

ძალოსნობა

# პარლამენტშიც სპორტისთვის დავიღლები

## ჯანმრთელობამ გამიშვას და შტანგას შევეშვები?!

*საქართველოში სპორტიდან პოლიტიკაში გადასვლა ჩვეულებრივი ამბავია. მორიგი „მოდური ტრანსფერი" გიორგი ასანიძემ განახორციელა. მოგეხსენებათ, ათენის ოლიმპიადის გმირმა მთაწმინდა-კრწანისის მაჟორიტარულ არჩევნებში გაიმარჯვა და იმედია, თავის რიხიან სიტყვას პარლამენტშიც იტყვის. „ეს გადაწყვეტილება ნაუცბათევად არ მიმიღია. ვფიქრობ, ქართულ სპორტს პარლამენტიდანაც უნარიანად შევეშველები" — ამბობს გიორგი. გულშემატკივრებს კი ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, შეელევა თუ არა ათენის ტრიუმფატორი აქტიურ სპორტს*



გიორგი ასანიძე პოლიტიკას შეეჭიდა

— სპორტში დასახულ უდიდეს მიზანს უკვე მივაღწიე. ის, რასაც 9 წლის ასაკიდან ვნატრობდი, წლეულს ათენში ავიხდინე. რა თქმა უნდა, სულით და გულით მინდა, პოლიტიკას ვარჯიშიც შევუთავსო, მაგრამ ეს მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული... ჯანმრთელობის მდგომარეობა მაფიქრებს. ძველმა ტრავმამ თუ არ შემახსენა თავი და სავარჯიშოდ „გამიშვა", ამას რა აჯობებს. მაინც ვფიქრობ, რომ ეტაპობრივად ვიმუშავებ შტანგასთან, მაგრამ საბოლოო პასუხს ვერ ვიძლევი.

— ბუნებრივია, პარლამენტიდან სპორტს მზრუნველი ხელი არ უნდა მოაკლოთ...

— რა თქმა უნდა, ათენში დაწყებული დიდი გამარჯვებები უნდა გაგრძელდეს და სახელმწიფო სტრუქტურაშიც იმიტომ შევედი, რომ ჩემი ხელი წავაშველო ამ საქმეს. ბუნებრივია, ჩემი რაიონიც არ დამავიწყდება და საერთოდ, ნაწყენს არავის დავტოვებ. სხვათა შორის, მომავალი წლიდან სპორტის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და დარბაზებიც აშენდება.

— ვაკეში ძალოსნობის დარბაზის კეთილმოწყობა უკვე დაიწყო?..

— დიახ, მშენებლობა მიმდინარეობს და ეს დარბაზი უეჭველად ევროპული სტანდარტებისა იქნება. ახლა უკვე ინვერტარი შემოაქვთ...

— თქვენს მწვრთნელზეც უნდა გკითხოთ. როდის დაბრუნდება ვანო გრიქუროვი პოლონეთიდან?

— 20 ნოემბერს ჩამოვა თბილისში და, როგორც იტყვიან, ჩემოდნებს ჩამოიტანს. მოგეხსენებათ, ბატონი ვანო პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციასთან კონტრაქტის გასაწყვეტად ჩავიდა, ხოლო თბილისში დუბრუნებისთანავე საქართველოს ნაკრებში სრული დატვირთვით დაიწყებს მუშაობას.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა







გოჩა ძასოხოვი და ბეგი დარჩია

# განვაგაჭოთ საქართველოში მსოფლიო თასი

*ამ უქმეებზე სპორტის სასახლეში მსოფლიოს უძლიერესი ბერძენ-რომაელი მოჭიდავეები შეიყრებიან და ულამაზეს თასს გაითამაშებენ. ამ ყოველწლიურ გუნდურ შეჯიბრში კონტინენტების უძლიერესი ნაკრებები მონაწილეობენ, ხოლო მასპინძელს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ირჩევს. წლეულს ეს პატივი საქართველოს ხვდა წილად, რომელიც როგორც მსოფლიოს გუნდური ჩემპიონი შეიყვანეს სათასო განაცხადში*

**თბილისურ** მსოფლიოს თასზე ბელარუსთა ნაკრები ევროპის ჩემპიონის რანგში ჩამოდის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პანამერიკული თამაშები მოიგო, ხოლო ირანმა აზიაში იჩემპიონა. აფრიკიდან ეგვიპტე უნდა გვწვეოდა, მაგრამ ჩამოსვლა ბოლო წუთს იუარა. ასევე უარი შემოთვალა თასის შარშანდელმა მფლობელმა რუსეთმაც. ის და ეგვიპტე საფრანგეთით შეცვალეს.

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა პრესკონფერენცია მოაწყო. დღის წესრიგი წარმოგვიდგინეს და ყველა საკითხზე კონკრეტულმა ადრესატმა ისაუბრა.

ძასოხოვის სიტყვები, ფაქტობრივად ყველა საორგანიზაციო საკითხი მოგვარებულიაო, გამომსვლელების განცხადებებმა დაადასტურა. გაირკვა, რომ აბსოლუტურად მზადაა დიღმის საჭიდაო კომპლექსი, სადაც მონაწილე ქვეყნების ნაკრებებმა უნდა ივარჯიშონ. ყველა სამუშაოა ჩატარებული სპორტის სასახლეშიც. აქედანვე გადაწყვეტილია სტუმართა დაბინავებისა და ატრიბუტიკების დამზადების საკითხებიც.

შეჯიბრის საზეიმო გახსნის ცერემონიალს პროდიუსერთა ცენტრი „ორერა" გაუწევს ორგანიზებას. 6 ნოემბერს 4 საათზე თენგიზ სუხიშვილი და ჯემალ სეფიაშვილი 35-წუთიან ლამაზ სანახაობას მოაწყობენ.

საქართველოს ნაკრების მზადების შესახებ მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ისაუბრა. მან შარშანდელი მსოფლიოს თასის პერიპეტიებიც გაიხსენა და დანანებით თქვა, ვწუხვარ, უსამართლოდ გაჩემპიონებულმა რუსეთმა ჩამოსვლა რომ არ ისურვაო. ძირითად კონკურენტებად კი ირანი და ბელარუსი მოიყვანა, მათ შემდეგ ამერიკა დააყენა და, დასძინა, საფრანგეთი ალბათ სხვებზე სუსტი იქნებაო.

დარჩიამ შემადგენლობაც გამხილა და ერთხელაც დაგვიდასტურა, რომ წონის შეცვლის გამო მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია ვერ დაგვეხმარება. ასევე წონამომატებულ აკაკი ჩაჩუას კი 66 კილოგრამში მეორე ნომრად მიუჩინა ადგილი. ჩვეულებრივი ამბავია, ყველა ნაკრებს, თითო წონაში ორ-ორი კაცი ჰყავს და მწვრთნელებს სასურველი ცვლილების გაკეთება ნებისმიერ მომენტში შეეძლებათ. ბეგი დარჩიამ ზემოთ ნახსენები მოჭიდავეების წონებში ახალგაზრდებზე შეაჩერა არჩევანი, თუმც მაინც დაგვაიმედა, აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთო.

მსოფლიო თასი გუნდური შეჯიბრია, მაგრამ მასზე პირადი ჩემპიონიც გამოვლინდება. საუკეთ ესო ის მოჭიდავე გახდება, რომელიც ყველაზე კარგ შედეგებს და ლამაზ ჭიდაობას გვაჩვენებს. ასეთისთვის ლამაზი თასია დაწესებული, თუმც თუ სილამაზეზე ვილაპარაკებთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მთავარი პრიზი. ფილა-დან გამოგზავნილი მსოფლიოს თასი ისეთია, საქართველოდან მართლა არავის რომ არ უნდა გავატანოთ. აკი იხუმრა კიდეც ძასოხოვმა, თასი უკვე განბაჟებულია და აღარსად წავაო.

ბოლოს 7 ნოემბერს დაგეგმილი ქართული ჭიდაობის ფალავნობაზეც ითქვა. ფალავნობა მსოფლიო თასს უკეთესი სანახაობრიობის თვალსაზრისით დაამთხვიეს და ოთხი საათი დაუთმეს. დაახლოებით 20-25 კანდიდატი 11-დან 15 საათამდე ორ უძლიერესს გამოავლენს. ფინალი კი საღამოს, ერთ-ერთი დასკვნითი ბერძნულ-რომაული დაპირისპირების წინ ჩატარდება. ყველას წამქცევი ქართულად მოჭიდავე ჯიბეს 3 ათასი დოლარით შეივსებს, ხოლო ჭიდილას ამბავი დღედღეზე გადაწყდება.

პრესკონფერენცია ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა შეაჯამა. ერთხელაც გაიმეორა, ასეთი რანგის შეჯიბრისთვის თბილისს ჯერ არ უმასპინძლიაო და მთავარი მსაჯის ვინაობაც გაგვიმხილა. შეჯიბრის კოორდინატორი სერბი ბრანკო სიმიჩი იქნება. ის და სხვა ოფიციალური სტუმრები ამ დღეებში ჩამოვლენ. ერთ-ერთ სასტუმროში კი უკვე ფილა-ს პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტისთვის საც ყოფილა ნომერი დაჯავშნილი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ხელბურთი

### ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

პირველი ეტაპი. მეოთხე ტური

**A ჯგუფი**

**ბარსელონა** (ესპანეთი) 32:25 **კონსტანცა** (რუმინეთი)
**პიკ სეგედი** (უნგრეთი) 25:18 **ვარდარ სკოპიე** (მაკედონია)
პიკ სეგედი — 7 ქულა; ბარსელონა — 4; ვარდარი — 3; კონსტანცა — 2

**B ჯგუფი**

**მონპელიე** (საფრანგეთი) 31:27 **ZTR ზაპოროჟიე** (უკრაინა)
**ზაგრები** (ხორვატია) 29:25 **კონვერსანო 2003** (იტალია)
მონპელიე — 8; ZTR, ზაგრები — 4; კონვერსანო — 0

**C ჯგუფი**

**გორენიე** (სლოვენია) 27:17 **ბრესტსკი მეშკოვო** (ბელარუსი)
**გოგ გუდმე** (დანია) 32:26 **ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი)
გოგ გუდმე, ჩეხოვსკიე მედვედი — 6; გორენიე, მეშკოვო — 2

**D ჯგუფი**

**ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) 19:28 **პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი)
**ვისლა** (პოლონეთი) 30:32 **პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია)
პორტლენდი — 8; პივოვარნა, ცრვენა ზვეზდა — 4; ვისლა — 0

**E ჯგუფი**

**ვინტერტური** (შვეიცარია) 26:27 **სიუდად რეალი** (ესპანეთი)
**ლიუბუშკი** (ბოსნია) 37:36 **კოლდინგი** (დანია)
სიუდად რეალი — 8; კოლდინგი, ლიუბუშკი — 4; ვინტერტური — 0

**F ჯგუფი**

**ჰაფნარფიორდური** (ისლანდია) 37:30 **კრეტეი** (საფრანგეთი)
**სავეჰოფი** (შვედეთი) 30:26 **კილი** (გერმანია)
კილი — 6; სავეჰოფი — 5; ჰაფნარფიორდური — 3; კრეტეი — 2

**G ჯგუფი**

**სანდფიორდი** (ნორვეგია) 25:31 **ფოტექსი** (უნგრეთი)
**გრანიტასი** (ლიტვა) 22:33 **ლემგო** (გერმანია)
ფოტექსი — 8; ლემგო — 6; სანდფიორდი, გრანიტასი — 1

**H ჯგუფი**

**ტატრანი** (სლოვაკეთი) 37:24 **მეტკოვიჩ ჯამბო** (ხორვატია)
**ბანიკ კარვინა** (ჩეხეთი) 27:39 **ფლენსბურგი** (გერმანია)
ფლენსბურგი — 7; ტატრანი — 5; ბანიკი — 4; მეტკოვიჩი — 0

## ჩოგბურთი

# რვაკაცას რვეული ჩამოიწერა

**წლის** დამაგვირგვინებელ რვაკაცა მასტერსთასზე გამომსვლელი რვავე მეჩოგნის ვინაობა მას შემდეგ დადგინდა, რაც რომ ანდრე აგასიმ და დავიდ ნალბანდიანმა საამკვირაო პარიზულ მასტერსტურნირზე გამოსვლა იუარეს. ამ კვირამდე სარვაკაცო ადგილები მხოლოდ ოთხს — ჩემპიონთა რბოლის უპირობო გამარჯვებულ როჯერ ფედერერს, მეორე-მესამე ადგილებზე მდგომ ენდი როდიკსა და ლეიტონ ჰიუიტს და ასევე წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებულ გასტონ გაუდიოს ჰქონდათ დაბევებული. დარჩენილი ოთხისთვის კი კარლოს მოია, გილერმო კორია, მარატ საფინი, ტიმ ჰენმანი, აგასი და ნალბანდიანი იბრძოდნენ. რაკილა მასტერსტურნირზე საჩემპიონთარბოლო ქულები უხვად გაიცემა ხოლმე — მაგალითად, გამარჯვებულს 100, ხოლო ფინალისტს 50 ქულა ერგებათ — ჩამოთვლილთაგან რვაკაცაზე მოსახვედრი ქულების შოვნა ყველას შეეძლო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ანდრემ ბარძაყის, ხოლო ნალბანდიანმა გაუმხელელი ტრავმის გამო შინ დარჩენა ამჯობინეს, უკვე დღესვე ცხადია, რომ კონკურენტთაგან ჰიუსტონურ მასტერსთასზე მოია, კორია, საფინი და ჰენმანი ითამაშებენ. არადა, ამათგან პირველი ორი ასევე დაშავებულია და პარიზობაზე მეტოქეებთან გადავებას ისედაც ვერ შეძლებდა.



დავიდ ნალბანდიანი


### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 17 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია. სესიაზე დასასწრები აკრედიტაციის მისაღებად გთხოვთ ა.წ. 20 ნოემბრამდე ოფიციალური წერილით მიმართოთ სეოკ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ტელ: 94-30-91
ფაქსი: 95-38-29

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესპანელთა გულთამპყრობელი

კატალონიის რალი, ლორეტ დე მარში რომ იმართება ხოლმე, ესტონელმა მარკო მარტინმა მოიგო. ფოტოზე კი განთქმულ ესპანელს კარლოს საინსს ვხედავთ. საინსი მალე გამოეთხოვება საყვარელ სპორტსაც, თავისი ერთგული მანქანის წინ კი მთელი ჯალაბობით ჩამომდგარა: ცოლი რეიესი, ქალიშვილები ანა (პატარა) და ბიანკა, ვაჟი კარლოსი საინსს ყოველთვის თან ახლავან შეჯიბრებაზე.



REUTERS ლორეტ დე მარიდან



REUTERS ლონდონიდან

# ნამდვილი რაინდი

მიიღო ის, რისი ღირსიც ნამდვილად იყო: ინგლისელ მორაგბეთა გამწვრთნელი და მსოფლიოს თასის მომგები კაცი ამიერიდან ასე იწოდება — სერ კლაივ ვუდვორდი. დედოფალმა ასე გადაწყვიტა და სწორადაც. ოჯახი კი ბედნიერია: ჯესი, ჯო და ორდენით ხელდამშვენებული ფრედიც. ცხადია, მეუღლე ჯეინიც.

# იქ დარჩა

ტოკიოში უმჩატეს მოკრივეთა საჩემპიონო ბრძოლა იყო. ასოციაციის (ვბა) ქამარი იქავე დარჩა, რადგან იუტაკა ნიიდამ ის ქულებით აართვა ჩემპიონს, ვენესუელელ ხუან ლანდაეტას (მარჯვნივ).



REUTERS ტოკიოდან

# ჯორდანი გზის პირას



მაიკლ ჯორდანი ისვენებს, თანაც ესპანეთში. ვალენსიაში კი მოტორბოლის დიდი პრიზი თამაშდება. ჰოდა, ამის ცქერა ამერიკელებს უყვართ. მაიკლიც ხომ ამერიკელია.

REUTERS ვალენსიიდან



REUTERS პეკინიდან

# მთავარი შემმოწმებელი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ჟაკ როგი მივლინებაშია. ის პეკინში იმყოფება მეუღლე ანასთან ერთად და 2008 წლის ოლიმპიადის სამზადისს ამოწმებს. რაც უნახავს, მოსწონებია, უთქვამს, შთამბეჭდავიაო. პეკინმა 37 მილიარდი დოლარი უნდა დახარჯოს საოლიმპიადოდ.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge